

K 39.515
2

ଭାବନାମ୍ବିଦ୍ୟ

ଶ୍ରୀକୃତି

ପ୍ରମଣି

ପ୍ରକାଶନକାଳ



ସହଚାରତୀତେଲାଙ୍ଗରୁ ସ୍ଵର୍ଗପାଦରୁ ମହାକାନ୍ତରାଜରୁ
ମହାବାହିନୀରୁ, ମହାବୀରାବାହିନୀ ଏବଂ ମହାବୀରାବାହିନୀ
ସାମାଜିକରଣ-ଧାର୍ଯ୍ୟବିଜ୍ଞାନ-ବିଜ୍ଞାନରୁ ଉଚ୍ଚଶତ୍ରୁତିରୁ

୦. ପାଠୀରେଣ୍ଡର

ପାଠୀରେଣ୍ଡର ବିଜ୍ଞାନରୁ ମହାବୀରାବାହିନୀ

K 39515
2



ବାହୀନରେଣ୍ଡର
“ସାହିତ୍ୟର ସାହାରତୀତେଲାଙ୍ଗରୁ”
ଅଧିକାରୀ — 1971



3.2 (c 922)



ජ්‍යෙෂ්ඨ මූල්‍ය ප්‍රතිච්ඡත

634. 8

252

පරිජ්‍යා මූල්‍ය ප්‍රතිච්ඡත සංඛ්‍යා ප්‍රතිච්ඡත
දා මුළු මූල්‍ය ප්‍රතිච්ඡත සංඛ්‍යා ප්‍රතිච්ඡත
තානාමේදරුවේ මෝතැනු දා පිරිවෙලා-
දී මූල්‍ය ප්‍රතිච්ඡත සංඛ්‍යා ප්‍රතිච්ඡත
කි.



10. 11. 17. 5.

ცერიალა ღვინოების ზარმოების განვითარების ისტორია საქართველოში

ცერიალა ღვინოების წარმოებას საქართველოში უძველესი დროიდან მისდევდნენ, მაგრამ კლასიკური ტექნოლოგიით მისი ღმზადება მხოლოდ გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო.

ჩევოლუციამდელ საქართველოში ცერიალა ღვინოების ერთ-ერთი უმსხვილესი საჭარმო იყო ვარციხის ონანობის ქარხანა, რომელიც ცნობილი მარკებით — „ერა“, „ეიუვე მარგო“ „კარდბლან“ — წელიწადში 250 ათას ბოთლ ღვინოს ამზადებდა.

დღიდი პერსპექტივების მიუხედავად, ცერიალა ღვინოების წარმოებამ ადრე ფართო განვითარება ვერ ჰქოვა საქართველოში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა სახალხო მეურნეობისა და, თათ შორის, მეღვინეობის აღმავლობის საუკეთესო პირობები. თბილისში აშენდა თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი შამპანური ღვინოების ერთ-ერთი უდიდესი ქარხანა, რომელიც დღეს საბჭოთა შამპანურის 25 % -ს ამზადებს. ამჟამად სამტრესტის საწარმოები ყოველწლიურად 8 მლნ ბოთლ ცერიალა ღვინოს ამზადებს, აქედან 1,250 ათასი — ბოთლური, ხოლო 6750



ათასს — რეზერვუარული წესით. ქართული შამპანურის პრიმენტია: ტკბილი შაქარს შეიცავს 10 %-ს, ნახევრად ტკბილი — 8 %-ს, ნახევრად მშრალი — 5 %-ს, მშრალი — 3 %-ს და ძალიან მშრალი — 1,5 %.

ცქრიალა ღვინოების ნედლეულის ბაზა შეიქმნა ქართლსა და იმერეთში, სადაც შეირჩა ვაზის ჭიშები, გაშენდა ვენახები და ღვინომასალების საწარმოებლად აიგო ღვინის ქარხნები. უკანასკნელ ხანში ცქრიალა ღვინომასალების წარმოებისათვის დიდად გაიზარდა ვენახების ფართობი წეროვანში, წლევიში და ტირიფონის ველზე; შეიქმნა ყურძნის მიღება-გადამუშავების მტკიცე ტექნიკური ბაზა, მძლავრი პირველადი და მეორადი ღვინის ქარხნები.

ცქრიალა და უუშეუნა ღვინოების დახასიათება

ცქრიალა და უუშეუნა ღვინოები თავისებური ბუკეტით და გემოთი, აგრეთვე ცქრიალისა და აქაფების უნარით ხასიათდება. ამ თვისებას ღვინო იძენს დამზადების თავისებური ტექნოლოგიით, რაც ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში ღვინის მეორეულ დუღილში მდგომარეობს.

დახურულ ჭურჭელში მეორეული დუღილის დროს ღვინის CO₂-ით ბუნებრივი გზით გაჭერებისას ცქრიალ, ხოლო ხელოვნური გზით გაჭერებისას უუშეუნა ღვინოები მიიღება. ამ პროცესს სატურაცია ეწოდება. ცქრიალა და უუშეუნა ღვინოებში ღვინის ზედა თავისუფალ არეში CO₂-ის წნევა რამდენიმე ატმოსფეროს აღწევს და მნიშვნელოვანი ტექნიკურ-

გიური ფაქტორია. იგი უმთავრესად დამოკიდებულია ღვინის მიერ CO_2 -ის შთანთქმის უნარზე, ღვინის ტემპერატურასა და დადუღებული შაქრის რაოდენობაზე.

ღვინის მიერ CO_2 -ის შთანთქმისუნარიანობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ 1 ატმოსფეროს წნევისას 1 ლ ღვინოში რა ოდენობის CO_2 შეიძლება გაიხსნას. უნდა აღინიშნოს, რომ, რაც უფრო დაბალია ღვინის ტემპერატურა, მით მას CO_2 -ის შთანთქმის მეტი უნარი აქვს. ამიტომ აღნიშნული კოეფიციენტის ოდენობის განსაზღვრისას უნდა ვუჩვენოთ, თუ რა ტემპერატურაზე ვაწარმოებდით გამოთვლას.

სხვადასხვა სპირტიანობის, შაქრიანობისა და ექსტრაქტის ღვინოს CO_2 -ის შთანთქმის სხვადასხვა უნარი აქვს. ღვინის სპირტიანობისა და შაქრიანობის გაზრდასთან ერთად მცირდება CO_2 -ის შთანთქმისუნარიანობის კოეფიციენტი. ექსტრაქტი CO_2 -ის შთანთქმისუნარიანობის კოეფიციენტზე თითქმის ისევე მოქმედებს, როგორც შაქრი, ამიტომ გამოთვლის დროს ანგარიშობენ ღვინის საერთო ექსტრაქტს, რომელიც შაქრისა და ღვინის ექსტრაქტის ჯამია.

CO_2 -ის შთანთქმისუნარიანობა გავლენას ახდენს ცქრიალა და შუშხუნა ღვინის წნევაზე. რაც უფრო დიდია კოეფიციენტი, მით უფრო დაბალია წნევა ერთი და იგივე რაოდენობის CO_2 -ის შეტანისას.

დამოკიდებულება წნევასა და CO_2 -ის შთანთქმისუნარიანობის კოეფიციენტს შორის შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით:

$$P_t = \frac{Q}{\beta_t},$$

საღაც: P_t არის ატმოსფერული წნევა;

t — ტემპერატურა;

Q — ლიტრ ღვინოში შეტანილი CO_2 -ის როდენობა;

β_t — ღვინის მიერ CO_2 -ის შთანთქმისუნარიანობის კოეფიციენტი t ტემპერატურაზე.

შეგვიძლია, ამ ფორმულიდან ვიანგარიშოთ Q , რომელიც საჭიროა β_t -ის განსაზღვრული მნიშვნელობის დროს 1 ლ ღვინოში შესატანად, რათა მისი წნევა $P_t + t$ გახდეს:

$$Q = P_t \cdot \beta_t.$$

ამ ფორმულის გამოყვანის დროს მხედველობაში არაა მიღებული ბოთლში ღვინის ზედა თავისუფალი არე, რომელიც ბოთლის მოცულობის 2—2,5 %-ია.

ტემპერატურის ცვლილება დიდ გავლენას ახდენს წნევაზე. ღვინის ტემპერატურის გაზრდით მცირდება ღვინის მიერ CO_2 -ის შთანთქმისუნარიანობის კოეფიციენტი, რის შედეგად ღვინიდან გამოყოფილი CO_2 -ის ბოთლის ზედა თავისუფალ არეში დაგროვებით წნევა იზრდება. ღვინის ტემპერატურის შემცირებისას კი პირიქით ხდება.

დამრკიდებულებას ღვინის ტემპერატურასა და წნევას, შორის გამოხატავს კოჩერგას ფორმულა:

$$P_1 \beta_1 = P_2 \beta_2.$$

შეგვიძლია, ტემპერატურისა და წნევის ცვლილება გამოვხატოთ ფორმულით:

$$P_2 = P_1 - \frac{\beta_1}{\beta_2},$$

სადაც: P_1 არის ცქრიალა ღვინის წნევა t_1 ტემპერატურაზე
რაზე;

β_1 — ღვინის მიერ CO_2 -ის შთანთქმისუნარიანობის
კოეფიციენტი იმავე t_1 ტემპერატურაზე;

P_2 — ცქრიალა ღვინის საძიებელი წნევა t_2 ტემპე-
რატურაზე;

β_2 — ღვინის მიერ CO_2 -ის შთანთქმისუნარიანო-
ბის კოეფიციენტი ამავე t_2 ტემპერატურაზე.

ცქრიალა ღვინოში CO_2 -ის წყაროს წარმოადგენს შაქარი,
რომელიც მეორეული დუღილის პროცესში საფუვრების
გავლენით იშლება. რაც უფრო მეტი შაქარი დაიშლება, მით
ცქრიალა ღვინო CO_2 -ით უფრო მდიდარი იქნება. დუღილის
ფორმულის თანახმად 1 გ შაქარი იძლევა 0,489 გ, ანუ 0,247
ლიტრ CO_2 -ს. შაქრის ის რაოდენობა, რომელიც ღვინოში
მეორეული დუღილის პროცესში უნდა შევიტანოთ, იანგარი-
შება ფორმულით:

$$x = \frac{Q}{0,247} = \frac{P_t \cdot \beta_t}{0,247} \approx 4,05 P_t \beta_t,$$

სადაც: x არის მეორეული დუღილისათვის შაქრის სა-
ჭირო რაოდენობა (გრამებში ერთ ლიტრზე);

Q — CO_2 -ის მოცემული რაოდენობა 1 ლიტრ ღვინოში;

P_t — ატმოსფერული წნევა ტემპერატურაზე;

β_t — ღვინის მიერ CO_2 -ის შთანთქმისუნარიანობის კოე-
ფიციენტი იმავე t ტემპერატურაზე.

ამ გზით გამოთვლილი შაქრის რაოდენობა ვერ აკმაყოფი-
ლებს მეორეული დუღილის დროს სასურველი წნევის მიღე-
ბას, რაც გამოწვეულია:

1. შაქრის მთლიანი რაოდენობის არასრული დაშლით გამოიწვევა
2. 1 გ შაქრიდან თეორიულად გამოთვლილი CO_2 -ის რაოდენობაზე ნაკლების მიღებით;
3. დახურულ ჭურჭელში ღვინის ზედა თავისუფალი არის შევსებაზე CO_2 -ის ნაწილის დახარჯვით.

აქედან გამომდინარე, სასურველი წნევის მისაღებად ლიტრ ღვინოზე ემპირიული ფორმულით გამოთვლილ რაოდენობაზე 2,5--3 გ-ით მეტ შაქარს იღებენ.

როგორც აღნიშნეთ, ცქრიალა და შუშხუნა ღვინოების ხარისხის ძირითადი მაჩვენებელია მათში დიდი რაოდენობით CO_2 -ის არსებობა, რაც ბოთლის გახსნისას ხმაურით საცობის ამოგდებას, ღვინის თამაშსა და ქაფის წარმოქმნას იწვევს. ბეგრის სიმძლავრე ბოთლში არსებული CO_2 -ის რაოდენობაზე (წნევაზე) და გაზის საკნის მოცულობაზეა დამკიდებული: რაც უფრო მეტია წნევა და გაზის საკნის მოცულობა, მით უფრო ძლიერია ბეგრი და საცობის ამოვარდნის ძალა.

გახსნის წინ საჭიროა ცქრიალა და შუშხუნა ღვინოების გაცივება, რითაც წნევა ღვინის ზედა თავისუფალ არეში კლებულობს, ამის შედეგად კი გასროლის ძალაც მცირდება და ღვინოც შედარებით დიდ ხანს თამაშობს.

თამაში ცქრიალა და შუშხუნა ღვინოების უაღრესად მნიშვნელოვანი თვისებაა. იგი ბოთლის გახსნის დროს გაზის გამოყოფის ხანგრძლივობაში, ნახშირორჟანგის ცალკეული ბუშტულის სიდიდესა და მოძრაობის სისწრაფეში მუღავნდება. ბოთლის გახსნისას ირლვევა წნევის წონასწორობა და იწყება CO_2 -ის ძლიერი გამოყოფა, რაც თანდათან სუსტდება და ბოლოს წყდება. გაზის გამოყოფა ცქრიალა ღვინოებში უფ-

რო ნელა ხდება, ვიდრე შუშხუნა ღვინოებში, რადგან ალა ღვინოში წარმოშობილი ნახშირორჟანგის ნაწილი ბმულ ფორმაშია გადასული, მაშინ როდესაც სატურაციის დროს ნახშირორჟანგი ღვინოში მთლიანად აბსორბირებულ მდგომარეობაში რჩება.

ა. მერჟანიანი გვაძლევს ცქრიალის კინეტიკის შემდეგ დამახასიათებელ ფორმულას:

$$x = a - \frac{a}{(1+C_t) - \frac{K}{C}},$$

სადაც: x ღვინის აღებული რაოდენობიდან t დროში გამოყოფილი ნახშირორჟანგის რაოდენობაა;

a — ნახშირორჟანგის საწყისი რაოდენობა, რომელიც თამაშის დროს ღვინის მოცემული მოცულობიდან შეიძლება გამოიყოს;

C — ცქრიალის დროის (t) პროპორციულობის კოეფიციენტი. გამოხატავს ღვინის მიერ ნახშირორჟანგის განთავისუფლებისა და გატარების უნარს.

K — ნახშირორჟანგის კონცენტრაციის პროპორციულობის კოეფიციენტი, ყველა აღებული მომენტისათვის.

ცქრიალის ყველაზე უფრო დამახასიათებელ მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს გაზის გამოყოფის სიჩქარის ცვლილების დინამიკას, წარმოადგენს კოეფიციენტი C . რაც უფრო დიდია C -ს რიცხობრივი მნიშვნელობა, მით უფრო დაბალია ღვინის ცქრიალის უნარი.

კოეფიციენტ C -ს მნიშვნელობა შეიძლება დადგინდეს, შემდეგი ფორმულით:

$$C = \frac{t_2 - 2t_1}{t_1^2},$$

სადაც: t_1 და t_2 ნახშირორჟანგის მთლიანი მოცულობის ან თამაშის დროს 50—70 %-ის გამოყოფის შესაბამისი დროა.

შამპანურის ცქრიალისათვის დამახასიათებელია არა მარტო გაზის გამოყოფის სიჩქარის ცვლილების დინამიკა, არა-მედ პროცესის ხანგრძლივობაც — t (ცქრიალის მაქსიმუმი.) რაც უფრო მაღალია t -ს მაქსიმუმი, მით უკეთესია ცქრიალი.

შეიძლება, C და t მაქსიმუმის განსაზღვრის შედეგად დადგინდეს ღვინის ცქრიალის საერთო მაჩვენებელი m , რომელიც გვიჩვენებს, როგორ და რამდენი ხანი ცქრიალებს ღვინო:

$$m = \frac{\text{მაქს. ცქრ.}}{C \cdot 10^3}.$$

შუშეუნა ღვინოებთან შედარებით ცქრიალა ღვინოებს უფრო მაღალი m ახასიათებთ. მაგალითად, თუ ცქრიალა ღვინოსათვის m -ის რიცხობრივი მაჩვენებელი 1,5—2 და უფრო მეტია, შუშეუნა ღვინოებისათვის იგი 0,6-ს არ აღემატება.

გამოყოფილი ბუშტულების დიამეტრი საშუალოდ 0,4—0,6 მმ-ია. ბუშტულების სიდიდე დამოკიდებულია არა ბმული ნახშირორჟანგის შედგენილობაზე, არამედ ღვინის შედგენილობაზე. ბუშტულის მოძრაობის სიჩქარე დაახლოებით 7—8 მმ -ია წამში. ქაფის წარმოშობა და მისი დისპერსიულობა ცქრიალა ღვინის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.



ბოთლის გახსნისას ცქრიალა ან დაგაზიანებული ფაქტების აქაფება გაზის გამოყოფასთან არის დაკავშირებული. როდე-
საც ნახშირმჟავა სწრაფად გამოიყოფა, წარმოიშობა ქაფის
ძირითადი მასა, რომელიც თანდათანობით მაქსიმუმამდე-
იზრდება. ქაფის საბოლოო მოცულობა პირვანდელ წნევასა
და ღვინის შედგენილობაზეა დამოკიდებული. გაზის გამო-
ყოფის შესუსტებასთან ერთად ქაფი კლებულობს და ბოლოს
სავსებით ქრება. კარგი ხარისხის ცქრიალა ღვინოებში
მდგრადი ქაფი წარმოიქმნება. ქაფოვანი ოვისებების გამომ-
ხატველია შემდეგი ფორმულა:

$$n = \frac{\text{ქაფის მაქსიმუმი}}{C \cdot 10^3}$$

II ცქრიალა ღვინისათვის უფრო მაღალია, ვიდრე შუშხუ-
ნასათვის.

ცქრიალა ღვინოების ქაფი მაღალდისპერსიული, კომ-
პაქტური და მსუბუქია.

ცქრიალა და შუშხუნა ღვინოების ცქრიალი გაზის გამო-
ყოფის რეჟიმით (ამ პროცესის კინეტიკით) ხასიათდება, რაც
თავის მხრივ ღვინოში ნახშირორჟანგის მდგომარეობაზე,
ღვინის შედგენილობასა და ფიზიკურ პირობებზეა დამო-
კიდებული. ქაფის წარმოქმნა, რომელიც თან სდევს ცქრიალს,
განპირობებულია, ერთის მხრივ, გაზის გამოყოფის რეჟი-
მით, ხოლო მეორეს მხრივ, ღვინის შედგენილობით.

ცქრიალა ღვინოების წარმოების თეორიული საფუძვლები


რატომ მიიღება ცქრიალა ღვინო მხოლოდ ღვინის მეო-
რეული დუღილის შედეგად ბოთლებში და საერთოდ დახუ-



რულ ჭურჭელში, რით განსხვავდება ის CO_2 -ით ხელობაზე მნიშვნელოვან რაოდ გაუღენთილი ღვინოებისაგან, რომლებსაც შუშხუნა ღვინოები ეწოდება?

ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებს შორის განსხვავება ნახშირორჟანგთან მათ კავშირში მდგომარეობს. თუ ერთ-ნაირ ჭიქებში ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებს ჩავასხამთ, დავინახავთ, რომ შუშხუნა ღვინოსთან შედარებით ცქრიალა ღვინის თამაში უფრო ხანგრძლივია, რაც ღვინოსთან ნახშირორჟანგის კავშირით აიხსნება.


ჩვეულებრივი დუღილის დროს ნახშირორჟანგი სპირტთან უნდა იბოჭებოდეს და რთულ ეთერს წარმოქმნიდეს. ასეთივე კავშირი უნდა არსებობდეს ნახშირორჟანგსა და ეთილის სპირტს შორის ბოთლებში დუღილისას. ეთერების ნელი დაშლა ბოთლების გახსნის დროს იწყება, ღვინის ნახშირორჟანგით ხელოვნურად გაუღენთვის დროს კი რთული ეთერების წარმოქმნა არ ხდება და ნახშირორჟანგი ღვინიდან შედარებით სწრაფად გამოიყოფა. მეორეული დუღილის პროცესში რთული ეთერების წარმოშობა ასე მიმდინარეობს:



ე. ი. ცქრიალა ღვინის წარმოქმნის დროს გვაქვს წონა-სწორობა, რომელიც საჭირო პირობების დარღვევისას ეთერების დაშლისკენ გადაიხრება, ვინაიდან ეთერითვიკის ენზიმები ამ სისტემაში უკვე აღარ არის. ნახშირმჟავასთან შეერთებით წარმოშობილი რთული ეთერები ქლიერ არამდგრა-

დია, ამიტომ სისტემის წონასწორობის დასარღვევაში განვითარის მარტო ქიმიური, არამედ ფიზიკური ცვლილებებიც კი საკმარისია.

პროფ. მ. აგაბალიანცის თეორიის თანახმად, ცქრიალა ღვინოებსა და ნახშირორჟანგის ცალკეულ ფორმათა შორის შემდეგი ცვლადი წონასწორობა არსებობს:



βCO_2 შებოჭილი ნახშირორჟანგია, რომელიც ღვინოში შამპანიზაციის დროს წარმოიქმნება. იგი იშლება ბოთლის გახსნისას. როდესაც CO_2 -ის წნევა ღვინოში მკვეთრად ეცემა, ამ დროს ნახშირორჟანგი თანდათან თავისუფლდება, რაც ბუშტულების გამოყოფის ხანგრძლივობას განაპირდებს.

შეკავშირებული ნახშირორჟანგი დაგაზიანებულ შუშხუნა ღვინოებში ან სრულიად არ არის, ან უმნიშვნელო რაოდენობითაა, ასეთ ღვინოებში იღვილი აქვს შემდეგ წონობას: $\text{CO}_2 \text{ (ხსნარი)} \xrightarrow{\leftarrow} \text{CO}_2 \text{ (გაზი).}$ ამიტომაა, რომ დაგაზიანებული ღვინოებიდან გაზი სწრაფად გამოიყოფა.

დადგენილია, რომ ცქრიალა ღვინის შენჯრევა იწვევს ნახშირმჟავა ეთერების დაშლას, რასაც პროფ. მ. აგაბალიანცმა დეშამპანიზაცია უწოდა.

ნახშირორჟანგით ღვინო სხვადასხვანაირად იულინთება. ვინაიდან მეორეული დუღილის დროს CO_2 შაქრიდან წარმოიშობა, ამიტომ გაფერების ხარისხი ღვინოში შეტანილი შაქრის რაოდენობაზეა დამოკიდებული. თუ შაქარი საჭიროზე ნაკლებია, მაშინ ღვინო შეიცავს მცირე რაოდენობის გაზს, რომელიც მაღლე გამოიყოფა, ხოლო თუ შაქრის რაო-

დენობა ნორმაზე მეტია, მაშინ ნახშირორჟანგი წარმოადგინდა მაღალ წნევას, რაც ბოთლების მტვრევას იწვევს. ასე რომ, შაქრის ღოზირება ბოთლებში ნორმალურ წნევას უნდა უზრუნველყოფდეს.

ღვინის მეორეულ დუღილზე, პირველ რიგში, გავლენას ახდენს მისი სპირტიანობა, ვინაიდან ალკოჰოლის დიდი რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს საფუვრებზე: ისინი შაქარს ვეღარ შლიან და შესაბამისად ნაკლები ნახშირორჟანგი წარმოიქმნება.

ძმარმჟავა ალდეჭიდი, მქროლავი მუავები და ეთერები ღვინის შთანთქმისუნარიანობაზე გავლენას არ ახდენს.

მუავათა ნორმალური შემცველობის დროს მათი უარყოფითი მოქმედება საფუვრის უჯრედებზე თითქმის გამორიცხულია.

მქროლავი მუავებიდან ყველაზე ხელშემშლელია ძმარმჟავა. ღვინოში მისი 1,5 გ/ლ ზევით არსებობისას უკვე იწყება დუღილის შეზღუდვა, ხოლო კიდევ უფრო მეტი რაოდენობით არსებობის დროს შეიძლება დუღილი სავსებით შეწყდეს. რაც შეეხება ვაშლის, რძისა და ქარვისმუავებს, მეორეული დუღილის პროცესზე ისინი დიდ გავლენას არ ახდენენ.

ალსანიშნავია მეორეული დუღილის პროცესზე ტანინის მოქმედება. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, იგი დუღილზე უარყოფით გავლენას ახდენს, რადგან, მათი შეხედულებით, ადსორბირდება რა მასზე მთრიმლავი ნივთიერება, საფუვრის უჯრედებს კლავს. მაგრამ ეს აზრი მცდარია, ვინაიდან ტანინით გაცილებით მდიდარ წითელ ღვინოებში საფუვრის უჯრედები სრულებითაც არ კარგავენ ცხოველმყოფელობის უნარს.

მეორენი თვლიან, რომ ტანინი, უერთდება რა ღვინოს და ლოვანის ლოვან ნივთიერებებს, წარმოქმნის უხსნად ტანატებს, უკანასკნელიც ნალექთან ერთად გამოიყოფა და ამით ღვინოს საფუვრების საკვები ნივთიერებანი ერთმევა. ეს აზრიც მცდარია, ვინაიდან აზოტოვანი ნივთიერებებიდან, რომელიც საფუვრების ძირითადი საკვები წყაროა, ტანინთან მხოლოდ ჩაწილი იბოჭება, რაც კვლავ წითელი ღვინოების დუღილის მაგალითთ დასტურდება. ტანინის ძირითადი უარყოფითი გავლენა მეორეული დუღილის პროცესზე გამოწვეულია ცუდი ხარისხის ნალექის წარმოშობით.

ასევე უარყოფითად მოქმედებს ფოსფორმჟავას და ამატება, ხოლო საფუვრების კვების გაუმჯობესების თვალსაზრისით ამონიუმის მარილების შეტანა ღვინის ბუკეტსა და გემოს არასასიამოვნოს ხდის. 50 მგ/ლ და მეტი რაოდენობის გოგირდოვანმჟავას შეუძლია, შეწყვიტოს ბოთლებში დუღილი. უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე ალუმინისა და რკინის მარილები.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მეორეული დუღილის დროს გამოყოფილი ნახშირორჟანგი თვითონ აბრკოლებს დუღილს, ამიტომ დუღილის შემაჩერებელი სხვა საშუალებები დიდი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ.

მეორეული დუღილის ახალი გზები

მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოების მისაღებად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქიმიურად შებოჭილი ნახშირორჟანგის მეტი რაოდენობით დაგროვებას. პროფ. მ. აგაბალიანცის წინადადებით ცქრიალა ღვინოების დამზადება უწყვეტი რეზერვუარული მეოდინ უნდა წარმოებდეს. ამ მე-

თოდს ის უპირატესობა აქვს, რომ მეორეული დუღულის პროცესი შედარებით დაბალი უანგვა-აღდგენითი პოტენციალის დონეზე მიმდინარეობს და ცქრიალა ღვინო ჯიშურ არომატს თითქმის მთლიანად ინარჩუნებს.

გამოკვლევების შედეგად საბოლოოდ დადგინდა, რომ მეორეული დუღილის პროცესში წარმოქმნილი შებოჭილი ნახშირორჟანგის რაოდენობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია მეორეული დუღილის დროს დადუღებული შაქრების რაოდენობასთან.

დადგინდა აგრეთვე, რომ მაღალი წნევისა და დაბალი ტემპერატურის პირობებში ჩატარებული მეორეული დუღილის შედეგად შებოჭილი ნახშირორჟანგი უფრო მეტი რაოდენობით გროვდება და მიღებული პროდუქციაც მაღალხარისხოვანია.

უწყვეტი მოქმედების პარატებში მეორეული დუღილის დროს შაქარი თითქმის მთლიანად დუღდება და საფუვრები თავიანთი ცხოველყოფელობის უნარს დიდხანს ინარჩუნებენ, მიღებული ღვინოები სავსებით აკმაყოფილებს ცქრიალა ღვინოების თვისებებს, წარმაღობა ორ-სამჯერ უფრო მეტია მეორეული დუღილის აკრატაფორულ მეთოდთან მეღარებით. ამ მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით მიზან-შეწონილია ციმლიანსკისა და ასტისპუმანტეს ტიპის ღვინოების წარმოებაში.

•

ცრიალა ღვინოების შურძნის კიშები და მათი სახურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

ქართული ცქრიალა ღვინოების წარმოებაში ფრანგულ ჯიშებთან ერთად გამოიყენება აღგილობრივი ყურძნის ჯიშე-



ბიც: ციცქა, კაპისტონი, ძველშავი, ჩინური, გორული მუზეუმის
და ნაწილობრივ რქაწითელი. ისინი ხარისხით ფრანგულ
ჯიშებს არ ჩამოუვარდება და ბევრ შემთხვევაში სჭობნის
კიდევ მათ.

ცქრიალა ღვინოების წარმოების განვითარებასთან ერ-
თად ფართო მუშაობა წარმოებს და განსაკუთრებული ყუ-
რადღება ექცევა პერსპექტიული და აბორიგენული ჯიშების
ფართობების გადიდებას. ინერგება ვაზის შამპანური ჯი-
შებიც, რომლებიც ცქრიალა ღვინოებს მეტ სინაზეს, სურნე-
ლებას, გემოს, სიახლესა და უფრო ინტენსიურ ცქრიალს
სძენენ.

ცხრიალა ღვინოების უურძნის ჯიშები

პინო შავი (სურ. 1) შამპანში ყველაზე გავრცელებული
და ძველთაგანვე ცნობილია. ითვლება მაღალი ხარისხის
საღვინე ჯიშად. ბურგუნდიაში მისგან მაღალხარისხოვანი
სუფრის წითელი ღვინოები მზადდება, შამპანში კი მხოლოდ
შამპანურის წარმოებაში იყენებენ. 3—4 კვირტზე სხლავენ.
ეკუთვნის სიმწიფის პირველ პერიოდს. მტევანი 40—80 გ-ს
იწონის, პატარაა, ცილინდრული, მკვრივი. სიმწიფეში მუ-
ქიცისფერი შეფერვისაა. აქვს ოხელი კანი, რბილობი—წვნია-
ნი, გემო — სასიამოვნო. ტონა ყურძნიდან ტკბილის გამო-
სავალი 75—80 დეკალიტრია, ვეგეტაციის პერიოდი—180—
190 დღე. სიმწიფეს აგვისტოს პირველ ნახევარში იწყებს,
სრულ სიმწიფეს ერთი ოვის შემდეგ აღწევს. შაქრიანობა
კრეფის დროს, სექტემბრის დამლევისათვის, 20 %-ია.

პინო შავი საფრანგეთში მცირემოსავლიან ჯიშად ით-
ვლება — ჰექტარზე 25—30 ც-ს ძლევა, ზაგრამ ჩვენში



სურ. 1. პინო შავი.

(მუხრანის საბჭოთა მეურნეობა) კარგი მოვლის შედეგად 70—80 ც მიიღება. სუსტად განვითარებულ ვაშს სოკოვანი დაავალება. აღვილად უჩნდება. ეს ჯიში მეტად მგრძნობიარება და აგროტექნიკის ზუსტად გატარებას მოითხოვს.



სურ.2. პინო შარლონე.

ღვინო ხარისხის მაქსიმუმს აღწევს მე-5 მე-6 წელს და ამ თვისებებს 12 წელზე მეტ ხანს ინარჩუნებს. ძველად ეს ჯიში შამპანში განთქმულ წითელ ღვინოებს იძლეოდა, ამჟამად თითქმის მთელი მოსავალი შამპანური ღვინომასალის მისაღებად მუშავდება.

ალის საბჭოთა მეურნეობაში ჩვეულებრივ სექტემბრის თვეში კრეფენ, როდესაც შაქრიანბა 20 %-ს და მჟავიანბა 9 %-ს მიაღწევს. საშუალო ზოსავალი ჰექტარზე 7 ტონაა ჩვენს. მიერ 1966 წელს დაყენებული ღვინო მაღალხარისხოვანია და ფრანგული ტიპის შამპანურს უახლოვდება.

პინო შარდონე (სურ. 2) ფრანგული თეთრი ყურძნის ჯიშია. მას მრავალი სინონიმი აქვს და ხშირად Pinolancoharpa ეს ეძახიან. იგი პინო შავის თეთრი ნაირსახეობაა. გამოყვანილია შამპანში და გამრავლებულია რქით. ეს ჯიში ცნობილია აგრეთვე Pinot de Fleuog de Birere-ს სახელწოდებით.

მორო-ბერიონი პინო შარდონეს იხილავს, როგორც პინოსაგან დამოუკიდებელ ჯიშს. ის უფრო ნაკლებადაა გავრცელებული და უმთავრესად წმინდა კირიან ნიადაგებზე (კრამანი, ავიზი, შესნილი და სხვ.). ისხვლება ორ-სამ კვირტზე. დამწიფების მიხედვით მიეკუთვნება პირველ პერიოდს, მაგრამ პინო შავზე გვიან მწიფდება. იქრიფება მაშინ, როდესაც შაქრიანბა 18—19 %-ს მიაღწევს. მტევნის წონა 70-დან 110 გ-მდეა. ტკბილის გამოსავალი 1 ტონა ყურძენზე 78—82 დეკალიტრს უდრის. მისგან ბურგუნდიაში მაღალი ხარისხის თეთრი სუფრის ღვინოებს ამზადებენ, ხოლო შამპანში მაღალხარისხოვან შამპანურს.

საქართველოში იგი ყველგან გვხვდება, მაგრამ უკეთეს შედეგს იმერეთში, კერძოდ, ვაჭევის საბჭოთა მეურნეობაში იძლევა.

მტევანი საშუალოა, ცილინდრულ-კონუსური. სრულ სიმწიფეში მარცვალი მოყვითალო-მოშავოა, კანი თხელი აქვს, რბილობი — წვნიანი. არის ნაზი, სასიამოვნო, ტკბილი გემოსი. ვეგეტაციის ხანგრძლივობა 230—245 დღე. სრულ



სურ. 3. ოლიგოტე.

სიმწიფეში აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში შედის. მოსავლიანობა საშუალოზე დაბალია. მაღალხარისხოვან პროდუქციას კირნარ ნიაღაგებზე იძლევა. სიმწიფისას შაქრიანობა 17—18 %-ს აღწევს, მუავიანობა კი — 8-10 %-ს




სურ. 4. პინო მენი.

შამპანის ზოგიერთი ფირმა, როგორიცაა მაგალითად, „მუ-
მი“, კუპაჟისათვის ამ ჯიშს აძლევს უპირატესობას. საფრან-
გეთში პინო შარდონე თეთრი ყურძნის ერთ-ერთ საუკეთე-
სო ჯიშად ითვლება. ახასიათებს განსაკუთრებული სურნელე-
ბა, ნუშის, ზოგჯერ ვანილის გემო.



სურ. 5. პინო რუხი.

ალიგოტე (სურ. 3) ფრანგული ვაზის ჭიშია, საფრანგეთში უბრალო ორდინარულ ღვინომნისასალას ამზადებენ. სა-



სურ. 6. ციცქა.

ქართველოში, განსაკუთრებით ქართლში, მან საუკეთესო თვისებები გამოავლინა როგორც მოსავლაანობის, ისე გამძლეობის მხრივ. ალიგოტეს ტკბილი საერთოდ გამოიყენება სუფრის სამარკო თეთრი ღვინოებისა და საკუპაუე ცქრიალი ღვინომასალის დასამზადებლად. მტევანი საშუალო სიღილი-

საა, ცილინდრულ-კონუსური, მკვრივი. მარცვალი მოზღვეული როა, 3%ის მხარეს მოყვითალო-ყავისფერი ტალებით. აქვს ოხელი, მკვრივი კანი. რბილობი წვნიანია, სასიამოვნო ტკბილი გემოსი. ვეგეტაცია 185—205 დღეს გრძელდება. პირველ მოსავალს დარგვიდან მეორე წელს იძლევა, სრულმსხმოია-რობაში მესამე-მეხუთე წელს შედის. მაღალმოსავლიანია (1 ჰექტარზე 60—100 კ), სოკოვანი დაავადებისაგან ნაკლებად ზიანდება. ტკბილის გამოსავლიანობა 78,5 % -ია. სრულ სიმ-წიფეში ტკბილის შაქრიანობა 18,5—22,5 % -ს აღწევს, ტიტ-რული მუავიანობა —8,6 % -ს. ღვინო გამოირჩევა გემოთი, ხარისხით, ჰარმონითა და სინაზით.

პინო მენი (სურ. 4) უხვმოსავლიანია. მისი ღვინო გან-საკუთრებული თვისებებით არ გამოირჩევა. ხარისხოვანი ცქრიალა ღვინოების საკუპაჟედ არც ერთი ფირმა არ ხმა-რობს. ჩვენში მარტო საკოლექციო ნაკვეთებში გვხვდება და ორდინარული ღვინის დასამზადებლად გამოიყენება.

პინო რუხი (სურ. 5) პინო შავის ნაირსახეობაა. წინათ საკმაოდ გავრცელებული იყო შამპანში. ფრანგი მეცნიერი ბიდე მას მიაწერს სილიერისა და ვერფნეს ღვინოების საუ-კეთესო თვისებებს. პინო შავზე მაღალმაქრიან ტკბილსა და უფრო ნაზ ღვინოს იძლევა. ჩვენში ამ ჯიშიდან მაღალხარის-ხოვან ღვინომასალის ვერ ვღებულობთ. არც ისეთი ნაზი ჯი-შია, როგორც პინო შარდონე.

ციცქა (სურ. 6) იმერეთში გავრცელებული, ფილოქსე-რაგამძლე და უხვმოსავლიანი ადგილობრივი ვაზის ჯიშია. სიმწიფის მიხედვით მესამე პერიოდს ეკუთვნის. ვეგეტაციის ხანგრძლივობა, კვირტის გაშლიდან ფოთლის დაცვივნამდე, საშუალოდ 227 დღეს შეადგენს. იმერეთში შამპანურისათვის

შესაფერ ტექნიკურ სიმწიფეს 15—30 სექტემბერს პლატფორმაზე
სუფრის ღვინოებისათვის კი რთველი ზოგჯერ ოქტომბრის
ბოლო რიცხვამდე გრძელდება. ციცქა საშუალო ზრდითა და
უხვმოსავლიანობით ხასიათდება.

ტქბილისა და ჭაჭის გამოსავლიანობა ადგილმდებარეობი-
სა და წლების მიხედვით ცვალებადობს და ზემო იმერეთში
ნაკლებია, ვიდრე შუა იმერეთში. ციცქას შაქრიანობა ზოგი-
ერთ წლებში 21%-ია, მეუკიანობა კი—7%. სასურველი შაქ-
რიანობის დროს ციცქას ტქბილში ტიტრული მუავიანობა
მაღალია, მაგრამ ალკოჰოლური დუღილისა და ღვინის დავარ-
გების პროცესში მუავიანობა იმდენად კლებულობს. რომ
ღვინომასალების შემადგენელ ელემენტთა პარმონია არ ირ-
ლვევა. ეს ჯიში ზემო იმერეთში საუკეთესოდ განვითარდა.
მიღებული პროდუქცია ხარისხოვანი შამპანური ღვინისადმი
წაყენებულ მოთხოვნებს აქმაყოფილებს.


ციცქას ღვინო ხასიათდება სინაზით, პარმონიულობით,
სასიამოვნო მეუკიანობითა და ექსტრაქტით. დამწიფების
დროს სასიამოვნო ბუკეტს იძენს და ადრინდელ თვისებებს
ინარჩუნებს. ამ ჯიშის ყურძნის დიდი ნაწილი ცერიალა ღვი-
ნომასალების დასამზადებლად გამოიყენება.

ძელშავი (სურ. 7) იმერეთის ერთ-ერთი უძველესი ვა-
ზის ჯიშია. მისი მტევანი ცილინდრული, მარცვალი საშუა-
ლო ზომის, მომრგვალო, მკვრივი, მოშავო-მოწითალო ფერი-
საა. კანი აქვს სქელი, რბილობი წვნიანი. ვეგეტაცია 235—245
დღეს მიმდინარეობს. სრულ სიმწიფეში რუხი ყავისფერია
და შავი ტალები აქვს. მაღალმოსავლიანი ჯიშია. სრულ სიმ-
წიფეში შაქრიანობა 19 %-ს აღწევს, ტიტრული მეუკიანობა—
7,8—8,8%-ს. ღვინოს აკლია სინაზე, შეფერილია სუსტად.



სურ. 7. ძელმავი.

ჩინური (სურ. 8) ქართლის უძველესი ადგილობრივი ვაშის ჯიშია. ი. ჭავახიშვილი მას ჩინებულს უწოდებდა და ის ნამდვილად ამართლებს თავის სახელწოდებას როგორც მოყვანილობით, შეფერვით, გემოთი, ხანგრძლივი შენახვის



სურ. 8. ჩინური.

უნარით, სოკოვან დაავადებათა და ფილოქსერის მიმართ გამძლეობით, ასევე ღვინის ხარისხით. ფართოდაა გავრცელებული გორისა და კასპის რაიონებში, განსაკუთრებით მეჭვრის-

ხევში, ატენში, ქვემო ჭალასა და სხვა სოფლებში. მოწყვეტილი ცილინდრულია, საშუალოდ შეფერილი, მარცვალი — საშუალო ზომისა, ოვალური, მომწვანო ფერის. კარგად დამწიფებული ლია ქარვისფერია, მზის მხარეზე შერუჭული. ჩინური ხორციანია, საშუალოდ წვნიანი, აქვს სასიამოვნო ტკბილი გემო. კანი აქვს თხელი და მკვრივი. ვეგეტაციის პერიოდი 220—225 დღეს გრძელდება. კვირტის გამლა აპრილის პირველ ნახევარში იწყება, ყვავილობა — ივნისის დამდეგს, ხოლო დამწიფება — ოქტომბრის მეორე ნახევარში. ვაზი უხემოსავლიანია (ტკბილის გამოსავლიანობა 76,5 %). ღვინო მოალისფრო-მოყვითალოა, სასიამოვნო არომატით, ხილის გემოთი და ხალისიანი მჟავიანობით.

ამ ჯიშის ყურძნის საკმაო ნაწილი გამოიყენება ცქრიალა ღვინო „ატენურის“ დასამზადებლად და, როგორც საკუპაჟე მასალა, — შამპანური ღვინოებისათვის. მიღებული პროდუქციის ხარისხი და ქიმიური გამოკვლევით მიღებული შედეგები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ყურძნის ეს ჯიში სხვა-დასხვა ტიპის ღვინოებისათვის გამოვიყენოთ. ჩინურიდან დაყენებული დაძველებული ქართლის სუფრის ღვინოები თავისი მომწვანო ჩალისფერით, სასიამოვნო და შინაარსიანი გემოთი, ნაზი და ჰარმონიული შინაარსით დიდ პოტონებას იმსახურებს.

გორული მწვანე (სურ. 9) ცნობილია აგრეთვე ქვიშეურის სახელწოდებით, ქართლის უძველესი ვაზის ჯიშია. გავრცელებულია გორის, კასპის, ცხინვალის, ხაშურისა და მცხეთის რაიონებში. მტევანი კონუსის ფორმის, მსხვილი აქვს. მისი მარცვალი წვნიანი, ტკბილი, საშუალო სიმკვრივისა და ზომის, მრგვალი, შუაში ოდნავ განიერია. კანი აქვს



სურ. 9. გორული მწვანე.

თხელი, მაგრამ მაგარი, ოღნავ უხეში, მომწვანო ფერის,
სრულ სიმწიფეში მზის მხარეს — ლურჯი, მოვარდისფრო
წინწკლებით ან ლაქებით. ვეგიტაციის პერიოდი 210—225



დღეა, კვირტის გაშლა შუა პპრილში იწყება, ყვავილობის დასაწყისში, სრულ სიმწიფეში ოქტომბერში შედის.

გორული მწვანე საშუალო მოსავლიანია. თითო ძირიდან 1,9—2,5 კგ ყურძენი იკრიფება, ძირზე 9—10 მტევანი აქვს. ჭრაჟით უფრო აღვილად ზიანდება, ვიღრე ნაცრით. ტკბილის გამოსავლიანობა 78,8 %-ს უდრის. გორული მწვანედან მიიღება სხვადასხვა ტიპის ღვინოები. კარგ შამპანურ ღვინომასალას იძლევა. ევროპული ტიპის ღვინოები (მუხრანი, მესხეთი, ზემოქართლი) სიძველეში ინვითარებს შინაარსიან ბუკეტს, არ ემჩნევა მომეტებული სიმწკლარტე და სიმაგრე.

ცერიალა ღვინომასალის დაზენვა

ცერიალა ღვინოების ხარისხი დიდად არის დამოკიდებული რთვლის წესიერად ჩატარებაზე. შეიძლება, მოკრეფილი ყურძნის ხარისხით თავიდანვე განისაზღვროს ღვინის ღირსება.

პინო შავი, რომლისგანაც ამუშავებენ ცერიალა ღვინოებისათვის თეთრ ღვინომასალას, ისეთ პერიოდში უნდა მოკრიფოს. რომ კანის წითლად მღებავი ნივთიერებანი ტკბილში არ იყოს გადასული. ვადის დასადგენად რთვლის წინ 3 დღის განმავლობაში ყოველდღიურად იღებენ ნიმუშს. წვენში შავრიანობის საანალიზოდ 2 კგ ყურძნიდან წურავენ 1 ლიტრ ტკბილს. ფართობს, რომლიდანაც სინჯს იღებენ, განსაზღვრავენ ყურძნის დამწიფების თანაბრობისა და რელიეფის ერთგვარობის მიხედვით.

დიდფართობიან ვენახებში, განსაკუთრებით, თუ იგი გაფანტულია ნიადაგებისა და ექსპოზიციის გამო, რაც გავლე

ნას ახდენს დამწიფებაზე, საქმე რთულდება. საჭირო უნდა იყოს საშუალო, ე. ი. ტიპიური.

საერთოდ რთველი მაშინ უნდა დაიწყოს, როდესაც ყურ-
ძენში შაქრის ზრდა შეწყდება. რთვლისათვის ოპტიმალურ
შაქრიანობად ითვლება 17—18 %, ხოლო მეუკინობა —
10—12 %. თუ ვენახში ყურძენი თანაბრად არ არის დამწი-
ფებული, შერჩევით კრეფის აწარმოებენ. ყურძნის დახარის-
ხება მტევნის აჭრის დროს ხდება. თუ დაზიანებული მტევნე-
ბი ბევრია, ცალკე განიერ კალათებში გამოიჩინა. მცირე
რაოდენობით გაფუჭებული ყურძენიც კი ცვლის ღვინომასა-
ლის გემოსა და სუნს. განსაკუთრებით არასასურველია სო-
კოვანი დაავადება, როგორიცაა სიდამპლე, რომელიც ახალ-
გაზრდა ღვინოების ამღვრევას იწვევს. მარცვალის ჭრაქით
დაზიანება არასასიამოვნო გემოს აძლევს ღვინოს, ნაცარი კი
ცუდ გავლენას ახდენს არა მარტო ღვინის გემოზე, არამედ
ართულებს და აძნელებს რემუაჟის პროცესს.

ზილდიუმით დაზიანებული ვაზის ყურძენი ნაკლებ-
შაქრიანი და მაღალმჟავიანია, მდიდარია პექტინოვანი და
მთრიმლავი ნივთიერებით, რაც ცერიალა ღვინოების წარმოე-
ბაში დაუშვებელია. არასასურველია გადამწიფებული ყურ-
ძნის მოკრეფა, რადგან იგი მძიმე ექსტრაქტულ და შეღებილ
ღვინომასალას იძლევა. უნდა გვახსოვდეს, რომ მაღალი ხა-
რისხის ცერიალა ღვინო მსუბუქი, ნაკლებ ექსტრაქტული,
რბილი და ახალგაზრდა ღვინომასალისაგან მიიღება.

რთვლისათვის არჩევენ მშრალ ამინდს. წვიმის შემდეგ
კრეფის ერიდებიან, რადგანაც წვიმისაგან ყურძენი ირეცხება
და შაქრიანობას კარგავს, რის შედეგადაც დაბალალკოჰოლი-



ამი ღვინომასალა მიიღება. ამ შემთხვევაში რთველი რამდენიმე უნდა გადგეს ნორ-
მალურ დონეზე, რაც ანალიზებით უნდა შემოწმდეს. მოკრე-
ფილ ყურძენს აწყობენ 10 კგ-იან კალათებში, ხოლო გადასა-
ზიდად 80 კგ-იან კალათებს არჩევენ. ტაგნები იმ შემთხვევა-
ში გამოიყენება, თუ ყურძენი შორ მანძილზეა გადასატანი.

ყურძნის გადაზიდვა ვენახიდან ღვინის ქარხნამდე სწრა-
ფად უნდა მოხდეს, რადგან გადატანის დროს ყურძენი იჭყლი-
ტება, რაც ხელს უწყობს ველური საფუვრების გამრავლებას,
რომლებიც თბილ ამინდში ორ საათში ახალ გენერაციას იძ-
ლევიან.

ყურძენი მარანში მიტანის შემდეგ იწონება. აწონილ ყურ-
ძენს ატარებენ ეგროტუმბოში, რის შემდეგ წნევებში გადააქვთ. წნევის გადატვირთვა რეკომენდებული არ არის, რადგანაც
ყურძნის ფენის გაზრდით მცირდება დაწნევა შუა შრეში, ხო-
ლო თუ დაწნევას ვავზრდით, ზედა და ქვედა შრეებში გან-
ვითარდება დიდი წნევა და იქ მოთავსებული წითელი ჯიშის
ყურძენი მოვცემს შეფერვას, რაც არასასურველია. საერ-
თოდ შრის სიმაღლე 70—80 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.
ტკბილის გამოწნევის კლებასთან შესაბამისად დაწნევება იზ-
რდება. 15—20 წუთის შემდეგ, როდესაც დურდოს სიმაღლე
35—40 სმ-ს მიაღწევს დაწნევებას ვაჩერებთ, წნევს ვწევთ,
დურდოს ვურევთ და დაწნევებას ვაგრძელებთ. ამ პროცესს
ვიმეორებთ სამჯერ. წნევიდან მიღებული პირველი და მეორე
ფრაქცია ანუ „კუვე“ მიღის მაღალი ხარისხის ცქრიალა ღვი-
ნომასალის დასამზადებლად. „კუვეს“ მიღების დრო არ უნდა
აღემატებოდეს 2 საათს, წითელი ყურძნისათვის კი—1,5 სა-
ათს.

შეფერვის, კლერტის გემოსა და სიმწკლარტის თავიდან
3. ი. შარაშენიძე

ასაცილებლად თვითნადენის მიღების შემდეგ დურდოს და ურევენ და იღებენ ახალ პირველ და მეორე ნაწესებს, რისთვისაც საჭიროა 3 საათი. პირველი და მეორე ნაწესები ერთმანეთისაგან შედგენილობით განსხვავდება, ამიტომ მათ ცალკალკე ამჟავებენ. დარჩენილი დურდოდან გამოწენებილ ტკბილს კი ორდინარული ან შემაგრებული ღვინოების კუპა-ჟებში იყენებენ.

შამპანში ფრაქციებს ასე აფასებენ: თუ თვითნადენი უდრის ერთს, მაშინ პირველი ნაწესები უდრის 0,5-ს, მეორე ნაწესები — 0,33-ს, ხოლო უკანასკნელი ანუ „ნაქაჩი“ — 0,25-ს.

შემჩნეულია, რომ სწორად მიღებული თვითნადენი ნელაძველდება, პირველ და მეორე ნაწესებთან შედარებით ნაკლებად ავადდება და მაღალი მუავიანობით, მეტი შაქრიანობით, ნაკლები მორიმლავი ნივთიერებებით გამოირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ ტკბილი საცერში გადის, იგი შეცავს ისეთ მინარევებს, რომელიც ტკბილს ამღვრევს, ამიტომ ტკბილს დასაწმენდად ბუტებში ათავსებენ. დაწმენდის ნორმალურად ჩასატარებლად 1 ჰექტოლიტრი ტკბილისათვის საჭიროა 4—8 გ გოგირდის ანჭიდრიდი, ხოლო თუ ტემპერატურა დიდია და ყურძენი დაზიანებული, — 10-12 გ.

არის წლები, როდესაც ღვინოში მუავიანობა მეტი ან ნაკლებია და საჭიროა მისი რეგულირება. თუ ღვინომასალაში მუავიანობა 6 %-ზე ნაკლებია, ღვინომუავას უმატებენ, ხოლო თუ მუავიანობა მეტია და ვაშლრძემუავა დუღილის შედეგად ნორმას ვერ მიაღწევს, მუავიანობას ხელოვნური გზით ამცირებენ, — ღვინომასალას აცივებენ. კარგ შედეგს იძლევა ნაკლები და მეტი მუავიანობის მქონე ღვინოების კუპაჟი. მუავიანობის შესამცირებლად რადგიალური საშუალებაა ნახ-



შირმეავა კალციუმი. ერთი გრამი ღვინოშეავა ღვინოს ალბურუ
ნახშირმეავა კალციუმის შეტანით შორდება.

თუ ყურძენი დაუმწიფებელია ან ვაზი დავადებულია მიღ-
დიუმით, მასში ტანინი ნაკლებია. ასეთ შემთხვევაში ღული-
ლის დაწყებამდე ერთ ჰექტოლიტრზე 10 % -იან სპირტის ხსნარ-
ში გახსნილი 2—3 გ მშრალი ენოტანინი იხმარება. ცქრია-
ლა ღვინოებისათვის ფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი უჩ-
და იყოს თეთრი, ოდნავ მომწვანო, გამჭვირვალე. ამიტომ
არაკონდიციური ფერის ცქრიალა ღვინოს ხელოვნური გზით
აუფერულებენ: მცირედ განიავებულ და გოგირდნახრისლებ
ღვინოს ჰექტოლიტრზე 50 გ ცხოველურ ნახშირს უმატებენ,
თუმცა ღვინის ფერის გაუმჯობესებით ღვინის არომატი
ნაწილობრივ იკარგება. ღვინის გაუფერულების მრავალი ხერ-
ხი არსებობს, მაგრამ ყველა ხერხი იუარესებს ღვინის ხარისხს,
ამიტომ მეღვინეები ერიდებან ღვინის გაუფერულებას, თუ
ეს შესაძლებელია. ნაკლებად შეფერილი ღვინოები შეფერვას
მეორეული დუღილის შემდეგ კარგავს და ჩვენთვის სასურ-
ველ მოთეთრო, ოდნავ მომწვანო ფერს იღებს.

გამჭვირვალე ღვინომასალა გადადის საღულარ განყოფი-
ლებაში, სადაც ტემპერატურა $10-12^{\circ}$ -ია. გამჭოლი ქარი ყო-
ვლად დაუმვებელია. საღულარი კასრები კარგად გარეცხილი
და ოდნავ შებოლილი უნდა იყოს. ჩვენს ქარხნებში გამოყე-
ნებულია 250—500 ლიტრიანი კასრები. მართალია, პატარა
კასრებში დუღილი საერთოდ დაბალ ტემპერატურაზე მიმდი-
ნარებობს, მაგრამ ეს პროცესი შრომატევადია და მეტ ფარ-
თობს მოითხოვს. კასრებში დიდი რაოდენობით გოგირდის
ხრხილება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ტკბილი გო-
გირდოვანმეავას ან პიღრიდს ისედაც დიდი რაოდენობით შეი-



ლავს. კასრები დაახლოებით 70 % -მდე იცსება, რათა დუღუფლების დროს აქაფებული ტკბილი არ გადმოიღვაროს.

სუფთა კულტურები ტკბილს წნეხიდან გამოსვლისას ან დაწმენდის შემდეგ პირდაპირ სადუღარ კასრებში ეძლევა. ცქრიალა ღვინომასალისათვის 2 % საფუარია საჭირო. უკეთესია სიცივეგამძლე კულტურები, რადგან, რაც უფრო დაბალია დუღილის ტემპერატურა, მით უფრო მაღალია ღვინის ხარისხი. ჩვენს ქარხნებში გამოიყენება შემდეგი ჯიშის წმინდა კულტურები: „შტეინბერგ 92 გ“, „დონისკოე ზერნისტოე“, „ხოლოდოსტოიკოე № 12“, „ვერჩენე“, „კახური № 7“ და სხვ.

არომატის შენარჩუნებისა და ბუკეტის განვითარების გარდა, მთავარია შაქრის ბოლომდე დაღულება, რადგანაც დაუდუღარი ღვინომასალები მეორად დუღილზე, განსაკუთრებით კი რემუაჟზე, ცუდად მოქმედებს.

დაღულების სრულყოფა დამოკიდებულია არა მარტო საფუვრების რაოდენობაზე, არამედ თანაბარ დუღილზე, რაზეც ტემპერატურა დიდ გავლენას ახდენს.

მძაფრი დუღილის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სათავსის მყარ ტემპერატურას. დუღილის პროცესში კასრებში ტემპერატურა მათი მოცულობის შესაბამისად მაღლა იწევს. მაგალითად, 200 ლიტრიან კასრში 15° -ზე დუღილის დროს ტემპერატურა 3° -ით იზრდება, 250 ლიტრიან კასრში — 4° -ით, ხოლო 500 ლიტრიან კასრში — $6—8^{\circ}$ -ით.

როგორც კი მძაფრი დუღილი დასრულდება, საჭიროა კასრების საცობამდე შევსება. ღვინოს ურევენ, რათა თანაბრად განაწილდეს საფუვრები, რომლებმაც უკვე დალექვა დაიწყეს.

უურადღება უნდა მიექცეს დუღილის ბოლომდე მიყვა-



ნას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაფუძულარი ღვინო მისამართზე, რაც მეტად არასასურველია ცქრიალა ღვინოების წარმოების ტექნოლოგიაში. ნორმალურად დადუღებულ ღვინოში შაქარი ლიტრზე 0,2 გ-ზე მეტი არ უნდა იყოს.

როგორც კი მთლიანად დადუღდება შაქარი და დაიწმინდება ღვინო, მის პირველ გადაღებას, ანუ საფუვრებიდან მოჰსნას აწარმოებენ. უკეთესია, ღვინოები, რომლებიც ძნელად იწმინდება, მოთავსდეს ისეთ სათავსებში, საღაც ტემპერატურა აცივებისას ჭვევით იწევს.

საფუარზე ღიღხანს გაჩერებული ღვინოები ბუკეტითა და გემოთი გაცილებით უკეთესია, ვიღრე ჩვეულებრივ ვაღაში (2 თვის შემდეგ) გადაღებული.

საფუარზე ხანგრძლივად გაჩერების შემთხვევაში კასრი კვირაში არანაკლებ ორჯერ უნდა შეივსოს.

ახალგაზრდა, საფუვრიდან მოხსნილ ღვინოში რკინის მარილები ლიტრზე 5 მგ-ს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო სპილენძის მარილები — 0,5 მგ-ს. ამ მიზნით ტექნოლოგიური პროცესებისათვის გამოსაყენებელი მანქანა-იარაღები და საღვინე ჭურჭელი მომინანქრებული უნდა იყოს.

თუ ღვინოში მოხვდა მიკოდერმას ან საერთოდ ბრიკის წარმოშობი მიკროორგანიზმები, ისინი ამოტივტივდებიან ღვინის ზედაპირზე, მიეკვრებიან ბოთლის კედლებს და განვითარებას იწყებენ, რადგან რემიუაჟის დროს ისინი ლექ-ში არ გადადიან. ასეთ ბოთლებს იწუნებენ.

ამის თავიდან ასაცილებლად ღვინომასალები დავარგების დროს აერობული მიკროორგანიზმების უჯრედებიდან უნდა გავათავისუფლოთ, რის მიღწევაც ყველა საჭირო ოპერაციის დროულად ჩატარებით შეიძლება.

ცქრიალა ღვინოების მისაღებად ღვინომასალების განვითარება
თხოვს სპეციალურ დამუშავებას, რომლის პირველი მნიშვნე-
ლოვანი ოპერაცია ასამბლაჟია.

ასამბლაჟის მიზანია ახალგაზრდა, კასრებში დადუღებუ-
ლი ღვინოების ყურძნის მოსავლის ნაკვეთების მიხედვით
გაერთიანება. ზოგჯერ ასამბლაჟს ჭიშების მიხედვით ატა-
რებენ, რის შედეგად მიიღება დიდი რაოდენობის ერთვა-
როვანი მასალა, რაც ქიმიური და მიკრობიოლოგიური
კონტროლის დროს კუპაჟების ტანინზაციისა და გაწევი-
სათვის მეტად მოხერხებულია.

ასამბლაჟი დიდი მოცულობის ბუტებში ან რკინა-ბეტო-
ნის რეზერვუარებში წარმოებს. ასამბლაჟის წინ საასამბლა-
ჟე ღვინო ყველა კასრში ისინჯება, ხოლო საეჭვო მდგომა-
რეობის დროს მიკრობიოლოგიური და ქიმიური შემოწმება
ხდება, რათა ასამბლაჟში დეფექტური ღვინოები არ მო-
ხვდეს. ჩვეულებრივ ასამბლაჟს თან სდევს ტანინზაცია და
გაწევვა. ჯანსაღ, ნორმალურ ღვინოებში ჰექტოლიტრზე
10 %-იან სპირტში გახსნილი 5 გ ტანინი შეაქვთ. ტანინის დო-
ზების გაზრდა საჭიროა, თუ ღვინომასალა დამზადებულია
დაზიანებული ყურძნისაგან. ტანინი უსუნო, თითქმის უფე-
რო ან ოდნავ ვარდისფერი უნდა იყოს და 90 % მოც.
სპირტში უნალექოდ იხსნებოდეს.

ტანინის ხსნარს ამზადებენ შემდეგნაირად: 5 კგ ტა-
ნინს ხსნიან 50 ლ 90 % მოც. სპირტში. ფილტრავენ და
შესანახად ბოთლებში ჩამოასხამენ. ბუტებში განსაზღვრული
რაოდენობის ტანინის შეტანისა და საგულდაგულოდ არე-
ვის შემდეგ შეაქვთ 0,5 % წებოს ხსნარი იმ ანგარიშით,
რომ 1 ჰექტოლიტრ ღვინოზე 1,25 გ მშრალი წებო მოვიდეს



წებოს შეტანის შემდეგ ბუტში ღვინომასალას განვითარება
ურევენ. უწყვეტი მორევის პირობებში ხდება ასამბლიორე-
ბული ღვინის გადასხმა კასრებში, ორმლებიც 10—12°
ტემპერატურის პირობებში უნდა იყოს მოთავსებული. გა-
წებილი ღვინო კასრებში 3—4 კვირას რჩება, ამ ხანში
იგი მთლიანად იწმინდება. გაწებვის დროს წარმოქმნილი
ტანატები თან წარიტაცებენ ღვინოში შეტივტივებულ ნა-
წილაკებს და მათ შორის ავადმყოფობის გამომწვევ სოჭო-
ბსაც. ღვინის წებოდან მოხსნა მისი მეორედ გადადებაა.
ამ დროს უნდა ვერიდოთ ღვინის ჭარბ აერაციას, ვინაიდან
იგი ღვინოს სინაზეს უკარგავს და მისი ბუკეტის შემცირე-
ბას იწვევს. ცერიალა ღვინომასალისათვის განკუთვნილ
ღვინოში ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული საასამბლა-
უე ღვინომასალების თვისებები, რათა მაღალხარისხოვანი
გემოსა და ბუკეტის მქონე ტიპიური ღვინო მივიღოთ. ყო-
ველივე ამის მიღწევა კი კუპაჟით შეიძლება. საჭიროა, სა-
წარმოო კუპაჟამდე ჩატარდეს საცდელი კუპაჟი, რაც მზო-
მი ცილინდრის საშუალებით წარმოებს იმ ანგარიშით, რომ
ცილინდრის თითოეული კუბ. სმ პირობითად დეკალიტრის
ტოლად არის მიჩნეული. ჩეეულებრივ საცდელი კუპაჟის
2—3 ვარიანტს აღვენენ, ამოწმებენ ალკოჰოლს, ტიტრულ
მუსიკანტის, მქროლავ მუავებს, შაქარს, ტანინს, ცილოვან
და აზოტოვან ნივთიერებებსა და რკინას.

ქარხანას საწარმოო კუპაჟისათვის ორი საკუპაჟე ბუტი
უნდა ჰქონდეს. კუპაჟი ასამბლაჟის ანალოგიურად ხდება.
ბუტს გავსების შემდეგ უმატებენ წინასწარ გაანგარიშებულ
წებოს. გაწებილ ღვინოს მუდმივად ურევენ და შემდეგ
50 დალ-იან კასრებში ჩამოასხამენ. წებოზე დაყოვნება

10—12° ტემპერატურის პირობებში 3—4 კვირის განმავლობაში ხდება. შემდეგ ღვინო გადააქვთ სარდაფში, საღაც ტემპერატურა 10—12°-ია, ღვინის სიცივით დამუშავება ყოველთვის კარგ შედეგებს იძლევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ღვინო ღარიბია ცილოვანი ნივთიერებებითა და კალიუმის შენაერთებით. შეიძლება ამ დროს დაუდუღარი ღვინოები მივიღოთ.

გაწებვის შემდეგ კუპაჟს ფილტრავენ. გაწებვისა და ტანინიზაციის შეცვლა ფილტრაციით არ შეიძლება, ვინაიდან ამ დროს ღვინოში რჩება ისეთი ნივთიერებანი, რომელთაც შეუძლიათ ღვინის ნალექის სტრუქტურა და ხასიათი შეცვალონ.

გოგირდოვან მუავას გამოყენება შამპანიზაციის პროცესში შეზღუდულია, რადგან გოგირდოვან მუავას ანჭიდრიდი ბოთლებში ღვინის მეორედ დუღილს უშლის ხელს. შეიძლება, დუღილის დროს მიმდინარე აღდგენითი პროცესების შედეგად იგი გადავიდეს გოგირდწყალბადში და ღვინო გააფუჭოს, ამიტომ უკანასკნელ შებოლვასა და კუპაჟის დაწყებას შორის დაახლოებით 1,5 თვე უნდა გავიდეს.

იმისათვის, რომ დავადგინოთ, რამდენად მომზადებულია კუპაჟი ჩამოსხმისათვის, 2,5 ლ ღვინოს ასხამენ 5 ლ-იან გამჭვირვალე ბოთლში, ანჯლრევენ ძლიერ აქაფებამდე. ქაფის გაქრობისთანავე გადააქვთ მინის ბოთლებში, ახურავენ თავს და ორი კვირით თბილ შენობაში ათავსებენ. თუ ღვინო არ აიმღვრა და ნალექი არ გამოიყო, იგი ჩამოსახმელად მზადა. უანგვა-აღდგენითი პოტენციალის დასაწევად მიზანშეწონილია კუპაჟის 3—4 თვის განმავლობაში დავარგება.

ცერიალუ ღვინოების ფარმაციის მეთოდები

ცერიალუ ღვინოებს ამზადებენ სამი მეთოდით:

1. ბოთლებში დუღილი (შამპანიზაციის მეთოდი);
2. დუღილი დიდი ტევადობის ჰერმეტულად დახურულ
ჭურჭელში;
3. სატურაციის მეთოდი.

ბოთლებში დუღილი (შამპანიზაციის მეთოდი). ბოთლე-
ბში მეორად დუღილამდე ღვინოს ინახავენ კასრებში გოგი-
რდოვანი ანტიდრიდის გამოყენების გარეშე, რათა ამ პრო-
ცესის ნორმალურად მსვლელობას ხელი არ შეუშალონ.
გარდა ამისა, ზედმეტად დაუაწვის თავიდან აცილებისა-
და ახალგაზრდა ღვინისათვის დამახასიათებელი თვისებების
შენარჩუნებისათვის ღვინის ხშირად გადაღებას ერიდებიან.

ცერიალუ ღვინოების დასამზადებლად იყენებენ ერთი
ჯიშის ყურძნის ღვინომასალას ან სხვადასხვა ღვინომასა-
ლიდან დამზადებულ კუპას, რომელსაც „კუვესი“ ეწოდება.
„კუვესის“ შემადგენლობაში შედის 2/3 ახალი და 1/3 დაძგე-
ლებული ღვინომასალა.

მეორეული დუღილის წინ „კუვესს“ უმატებენ:

- a) ღვინოში წინასწარ გახსნილ შაქარს (სასურველია ღერ-
წმის შაქარი). 5—6 ატმოსფერო წნევის მისაღწევად
საჭიროა 22—26 გ შაქარი 1 ლ ღვინოზე;
- b) საფუვრების წმინდა კულტურის დედოს;
- c) მინერალურ და აზოტოვან ნივთიერებებს, საფუარი უჯ-
რედების ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის;
- d) გამწმენდ ნივთიერებებს ნალექის ფორმირების გასაადვი-
ლებლად, რომელიც შემდეგში უნდა მოშორდეს ღვინოს.

ღვინისათვის საჭიროა აგრეთვე აერაცია, რადგან ფერების ცხოველმყოფელობისა და განვითარებისათვის უანგბადი აუცილებელია.

ყველა ზემოჩამოთვლილი ნივთიერების თანაბარი განაწილებისათვის ჩამოსხმა შუდმივი მორევით ხდება. ამ ღვინოების ბოთლებში მეორადი დუღილი და ღვინის დამზადება წარმოებს ისე, როგორც შამპანურისა.

ყურადღებას იმსახურებს ცქრიალა ღვინოების წარმოების რურალის მეთოდი. ამ მეთოდით ცქრიალა ღვინოები რემუაჟისა და ღეგორაჟიდის გარეშე მზადდება. მეორადი დუღილის დამთავრების შემდეგ ბოთლებს ხსნიან და სპეციალურ ხელსაწყოში ათავსებენ. უკუწნევის საშუალებით ღვინო ფილტრაციით მეორე ბოთლში გადადის. ამ მეთოდის უარყოფითი მხარე ისაა, რომ ცქრიალა ღვინის შუშეუნა და ქაფოვანი თვისებები მცირდება.

დუღილი დიდი ტევადობის ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში. ბოთლებში დუღილის დროს ხანგრძლივი და ზუსტი პროცესის თავიდან ასაცილებლად მომენტ გადაწყვიტა დუღილის დახურულ კასრებში წარმოება. მის აზრს იზიარებდნენ ბლილიე, შარმა და შოსეპე. მაგრამ ეს მეთოდი არ იძლეოდა სასურველ შედეგს და ჩვენს საუკუნემდე ფართო გამოყენება ვერ მოიპოვა.

ამ დუღილის პრინციპი იგივეა, მხოლოდ მეორადი დუღილი მიმდინარეობს ჰერმეტულად დახურულ 25—40 ჰექტოლიტრიან კასრებში, რომლებიც დამცველი სარქველითა და წნევის საზომი ხელსაწყოთია აღჭურვილი. გათვალისწინებულია გათბობის სისტემა (სპირალური მილი), რომელიც სწრაფი დუღილისათვის სასურველ ტემპერატურას

ქმნის და გაცივების სისტემა, რომლითაც დუღილის დამთავრების შემდეგ ნალექი სწრაფად გამოიყოფა და ღვინოში ნახშირორეანგის ხსნადობა დიდდება.

დუღილი მიმდინარეობს 17-დან 21 დღემდე. შედეგები მანომეტრითა და ანალიზებით მოწმდება. დუღილის დამთავრების შემდეგ ემატება საექსპედიციო ლიქიორი და მინუს 4—5°-ზე წნევის ქვეშ იფილტრება. ბოთლებში ჩამოსხმა იზოლირებული პრინციპით ხდება, ზუსტად ისე, როგორც ლუდის წარმოებაში. ეს საწარმოო მეთოდი ცქრიალა ღვინოების უფრო იაფი წარმოების საშუალებას იძლევა.

სატურაციის მეთოდი. ეს პროცესი ნახშირორეანგით ღვინის ხელოვნურად გაჭერებაში მდგომარეობს. ამ დროს ღვინო გადადის სპეციალურ აპარატში, რომელსაც სატურატორი (გამაჯერებელი) ეწოდება. შეიძლება, რომ ეს პროცესი ნებისმიერ წნევაზე ვაწარმოოთ.

მთელი საწარმოო პროცესი ძლიერ სწრაფია, მაგრამ ასეთი გზით მიღებული პროდუქცია დიდხნანს თამაშის უნარს ვერ ინარჩუნებს. CO₂-ით გაჭერება ყოველთვის საკმარისი არ არის და ღვინო ამღვრევისაკენ მიღრეკილებას ამჟღავნებს. ეს მეთოდი იაფფასიანი შუშხუნა ღვინოების დამზადების საშუალებას იძლევა, მაგრამ მიღებული პროდუქცია საშუალო ხარისხისაა.

ასტის-ჰუმანტეს ტექნოლოგია. ამ ღვინოს ალექსანდროული მუსკატისაგან ამზადებენ იტალიაში. ეს არის ტკბილი შუშხუნა ღვინო სპირტის დაბალი შემცველობით. იტალიური ტექნოლოგიური სქემა შემდეგია: ყურძენი იქრიფება დილის საათებში, სრული სიმწიფის პერიოდში და

მაშინვე ხდება მისი დამუშავება საჭყლეტ-კლერტსაც ელჩი-
ასტის ტაპის ღვინის დასამზადებლად თვითნადენი და
ჰირველი გამონაწეხი გამოიყენება. ტკბილს გადატუმბავენ
ორ იარუსად დაწყობილ ჩანებში. პირველი გამონაწეხი ი
გადაქვთ ზედა ჩანებში, იგი აქ 12—24 საათს ჩერდება. ამ
ხნის განმავლობაში ტკბილის ზედაპირზე წარმოიქმნება ე. წ.
ქუდი, რომელიც 1,5 — 3-სმ სისქის საკმაოდ მჭიდრო კანისა
და რბილობის, საფუვრის უჯრედების, პექტინოვანი, ცილო-
ვანი და სხვა ნივთიერებების ფენას წარმოადგენს. სიმღვრი-
ვის გამომწვევი უფრო მძიმე ნაწილაკები ილექტება ფსკერზე
და საფუვრის უჯრედების ნაწილიც თან მიაქვს. ლექსა და
ქუდს შორის დაწმენდილი ნაწილი სიფონით გადაიტანება ქვე-
და ჩანებში, სადაც ქუდისა და ნალექის წარმოქმნის პროცესი
მეორდება.

ამის შემდეგ ხდება მაღულარი დურდოს მრავალჯერადი გა-
ფილტვრა ქსოვილის ფილტრებში. ბიოლოგიური სტერილი-
ზაციის მიზნით ფილტრაციისა და გაქარვის შედეგად დურ-
დოში დარჩენილი საფუვრები საკვებ ნივთიერებებს, კერ-
ძოდ, აზოტოვან ნივთიერებებს დიდი რაოდენობით ხარ-
ჯავენ, შაქარს კი მინიმალური რაოდენობით. ბიოლოგიურ
სტერილიზაციას, ანუ აზოტის შემცირებას წყვეტენ ვაშინ,
როდესაც დურდოში საერთო აზოტის შემცველობაა 60
მგ/ლ, რისთვისაც საჭიროა რამდენჯერმე დუღილი და
გაფილტვრა. ფილტრაციებს შორის ინტერვალი თანდათან
იზრდება.

უკანასკნელი გაფილტვრის შემდეგ ხდება მეორადი დუ-
ღილისათვის ღვინომასალის ბოთლებში ჩამოსხმა ისე, რომ
საფუვრის დედოსა და ლიქიორის დამატება არ ხდება.

იტალიური ტექნოლოგია გამოიჩინევა შრომატევადიზაფილობით, რომიტიული ოპერაციებით, დიდი დანაკარგებითა და მზა პროდუქციის არასტანდარტულობით.

ნ. ოხრამენჯოს წინადაღებით, შეუა აზიის მეღვინეობის ინსტიტუტში დაიწყეს ორი ტექნოლოგიური სქემის — გამარტივებული იტალიური და კუპაჟის სქემების გამოცდა.

კუპაჟის სქემით მზადდება მშრალი და ტკბილი ღვინო-მასალები. ტკბილ ღვინომასალას მეორადი დუღილისა და ფილტრაციის გზით ამუშავებენ. ეს სქემა იტალიურისაგან იმით განსხვავდება, რომ დუღილისა და ფილტრაციის რაოდენობა ნაკლებია.

გამოკვლევების შედეგად დადგინდა შემდეგი ტექნოლოგიური სქემა: მეღვინეობის პუნქტებში პირველად მზადდება ორის სახის ღვინომასალა: №1 მშალი, №2 ტკბილი. №2 ღვინომასალას იღებენ უნგრული მუსკატის ჭიშის ყურძნილობა 16—18 % შაქრიანობის დროს.

ნაკლები აზოტოვანი ნივთიერებების მიღების მიზნით დუღილი „რქაწითელი 6“-ის საფუარზე მიმდინარეობს.

№2 ღვინომასალა მიიღება ალექსანდროული, უნგრული, თეთრი და ვარდისფერი მუსკატის ჭიშებისაგან. ყურძენი იქრიფება 24 % შაქრიანობის დროს. დაჭყლეტისა და კლერტის მოცლის შემდეგ აწარმოებენ დუღილს სულფიტაციის გოგირდოვანმჟავას ანჰიდრიდით 100 მგ/ლ და კანიდან არომატული ნივთიერებების გამოსატანად. 16—18 საათს ასე ტოვებენ, დაწმენდილ ტკბილს სპირტავენ თანდათანობით, ამის შემდეგ 1 დალ ტკბილში 1 გ ტანინი შეაქვთ. დაწმენდილი ღვინომასალები მეორად ღვინის ქარხანაში გადააქვთ. №2 ღვინომასალას ათავსებენ მაცივარში და 10—15

დღის განმავლობაში՝ 2—3°-ზე ამჟავებენ. ორივე ღვიძლი მასალის კუპაჟის კონდიციებია: 12,5 % შაქარი და 10—10,5 % მოც. სპირტი. კუპაჟს ამჟავებენ სისხლის ყვითელი მარილით და უელატინით წებავენ. დაწმენდის შემდეგ ღვინოს მოხსნიან აერაციის გარეშე და ღვინის ქვის გამოლექვის ზიზნით 7 დღის განმავლობაში მინუს 4—5°-ზე ათავსებენ, ლიმონმჟავის საშუალებით — ტიტრული მჟავიანობა 6,5—7 %-იმდე აჰყავთ, შემდეგ კი მეორეული დუღილი წარმოებს ამ ტექნოლოგიით დამზადებულმა ღვინომ ცენტრალური საღეგუსტაციო კომისიის დიდი მოწონება დაიმსახურა.

კარსტენის მეთოდი. ეს მეთოდი მეორად დუღილს დიდი ტევადობის რეზერვუარებში ითვალისწინებს. ამ დროს წარმოქმნილი CO_2 ცალკე, შემკრებ რეზერვუარში გროვდება. CO_2 -ის მოცილების შედეგად მეორადი დუღილის სისწრაფე იზრდება, რადგან CO_2 პროცესს ამუხრუჭებს. გარდა ამისა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, CO_2 ღვინოს ახალგაზრდა ცერიალა ტონსა და არომატს სძენს. ამ მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ მეორადი დუღილისა და CO_2 -ის მოცილების შემდეგ ღვინო წყნარდება, ადვილად მუშავდება გამჭვირვალობაზე, ფილტრაციაზე, გაცივებაზე, სპირტის დამატებაზე და ბოთლებში ჩამოსხმის წინ CO_2 -ის პირველდაწყებით რაოდენობას უზრუნველყოფს.

ნარევის შაქრიანობა რეგულირდება, რომ შეგროვებული CO_2 -ის რაოდენობა საკმარისი იყოს ღვინის შემდგომი გაჭერებისათვის. მაგალითად, 100 000 ლ ღვინომასალა, რომელიც ლიტრზე 25—30 გ თავისუფალ შაქარს შეიცავს, მეორადი დუღილის დროს CO_2 -ს გამოყოფს ისეთი რაოდენობით, რომ ეს 100 000 ლიტრი ღვინო კვლავ საკუთარი

CO_2 -ით შეიძლება გაჭერდეს. CO_2 -ს საწნები ვაკუუმ-კომპონენტით აცილებენ.

საწნეო რეზერვუარი, რომელშიც გაზია მოთავსებული და ყველა მილი, რომლითაც რეზერვუარისაკენ გაზი მიემართება, ჰაერისაგან თავისუფლდება წყლით, რომელიც შემდეგ CO_2 -ის მიწოდების შედეგად გამოიქანება. კარსტეინის მეთოდი იმის საშუალებას იძლევა, რომ, თუ CO_2 -ს განუწყვეტლივ შევურევთ ღვინოს, შეკუმშვისა და გაცივების შედეგად წნევა 4,5 ატმოსფეროს მიაღწევს. CO_2 -ის ეს შეკცევითი შეერთება ღვინოსთან პერიოდული ან უწყვეტი მეთოდით წარმოებს.

ამ მეთოდის შედეგად მეორეული დუღილის ღროს ღვინის დამუშავება წნევის გარეშე ხდება, რაც იძლევა დიდ ტექნიკურ უპირატესობას: ა) დუღილის დაჩქარება; ბ) ღვინომასალის გადამუშავება წნევის გარეშე და გ) წმინდა კულტურის სპეციფიკური დუღილის გარეშე, ეს კი ღვინის სწრაფ დავარგებას იწვევს.

მეორეული დუღილის ღროს წარმოქმნილი CO_2 -ის გამო ტექნოლოგიური პროცესები ძნელდება და რთულ დანადგარებს მოითხოვს. საერთოდ, ცქრიალა ღვინო საკუთარ CO_2 -ს უნდა შეიცავდეს.

კარსტენის მეთოდი საშუალებას იძლევა, ცქრიალა ღვინო დავამზადოთ, როგორც წყნარი ღვინომასალები. ეს უპირატესობა ერთ-ერთი ყველაზე დადებითი მხარეა მოცემული მეთოდისა, ხოლო ტექნიკური მოწყობილობის გამარტივება, თავის მხრივ, წარმოების ხარჯებს ამცირებს.

მორენის მეთოდი. დამუშავების წინ ღვინო 12—14 საათის განმავლობაში მინუს 5°-ზე ცივდება. ღვინის ჩამოსხმა

წარმოებს ნახშირორჟანგის უკუწწევით. მუშაობის დაწყების წინ აპარატის მთელ სისტემაში ჰაერი ნახშირორჟანგით იდევნება. აპარატურა და კომუნიკაციები, რომელშიც დაგაზიანებული ღვინო გადის, ცალკევდება. გაფილტრული ცქრიალა ღვინო მინუს 1° -ზე ცივდება, ჩამოსასხმელ აპარატში წნევა 2,5—3 ატმოსფეროს ფარგლებში მერყეობს.

ნიურიკ შტატის მეთოდი. მეორეული დუღილი 6 კვირის განმავლობაში $10-15^{\circ}$ ტემპერატურაზე ჰერმეტულად დახურული დიდი ტევადობის (1,5—3 ლ) ბოთლებში წარმოებს. ინახავენ 2 წელს $10-12^{\circ}$ -ზე, შემდეგ სპეციალური მანქანებით $0-1^{\circ}$ -მდე აცივებენ. ბოთლიდან ასხამენ აკრატოფორში, რომელშიც საექსპედიციო ლიქიორი შეაქვთ. ღვინოს აცივებენ მინუს 4° -ზე, ტუმბოს საშუალებით 3—4 დღის განმავლობაში ურევენ. 2—3 დღის შემდეგ მინუს $2-3^{\circ}$ -ზე ღვინოს იზობარომეტრულ ფილტრში ფილტრავენ და ასხამენ ბოთლებში, რომელიც წინასწარ მოთავსებულია სპეციალურ კამერაში $0-1^{\circ}$ -ზე. ეს დიდი ზრდის წარმადობას და, რაც მთავარია, რემუაჟსა და დეგორეაჟს არ საჭიროებს. სპეციალისტების აზრით, ცქრიალა ღვინის ხარისხი გაუმჯობესებულია, ცილოვანი სიმღვრივისა და ღვინის ქვის გამოლექვა — შემცირებული.

ბურგუნდიული მეთოდი. ცქრიალა ღვინო დიდი ტევადობის რეზერვუარებში მზადდება. დუღილზე კონტროლი ავტომატიზებულია. დადუღებული ღვინო ორი კვირის განმავლობაში $5,5-7^{\circ}$ ცივდება. ორჯერ გაწევისა და გაფილტრის შემდეგ ღვინოს დაბალ ტემპერატურაზე ჩამოსხამენ და ბოთლებში 6—8 თვის განმავლობაში ავარგებენ.

მგალობლიშვილის მეთოდი. ამ მეთოდით დამზადებული

ღვინო საშუალო სიმაგრით, სიტკბოთი, სიხალისით, სიმჟაფრისით
ვითა და ცქრიალით გამოიჩევა.

მგალობლიშვილის მეთოდით დამზადებული ნახევრად ტკბილი ღვინო შამპანურისაგან იშით გამოიჩევა, რომ უკანასკნელი მზადდება შამპანური ღვინომასალებისაგან მეორადი დუღილით (ლიქიორისა და კონიაკის დამატებით), ხოლო მგალობლიშვილის ტექნილოგია ითვალისწინებს ცქრიალა ღვინის დამზადებას დაუდუღარი ღვინისაგან, რომელშიც დარჩენილია ყურძნის შაქარი და ნახშირორეანგი (2 ატმოსფეროს წნევით).

ცქრიალა ღვინის ტექნილოგია შემდეგში მდგომარეობს: ჩხავერის ჭიშის ყურძენი გვიან შემოდგომაზე 22—26 % შაქრიანობისა და 7—8 % მჟავიანობისას იქრიფება. დაბარის-ხებულ ყურძენს უშვებენ კლერტსაცლელში და კალათიან წნევებში ათავსებენ. თვითნადენი და პირველი ნაწნეხი 12—18 საათის განმავლობაში იწმინდება და გოგირდოვან-მჟავას ანჰიდრიდით 100—120 მგ/ლ სულფიტირდება (და-მოკიდებულია ტკბილის ტემპერატურაზე). დაწმენდილი ტკბილი აქროტოფორებში გადააქვთ და მინუს 3—5°-ზე 7—10 დღის განმავლობაში ამუშავებენ, შემდეგ კი „ტექნოქიმში“ ფილტრავენ. გაფილტრულ ტკბილს ათბობენ 18°-მდე და 20—27 დღე 15—16°-ზე ადუღებენ.

როდესაც ტკბილში 4—5 % შაქარი დარჩება, მინუს 4—5°-ზე თანაბარი გაცივებით დუღილს წყვეტის.

წნევა რეზერვუარებში გაცივების შემდეგ 2,1—2,5 ატ-მოსფერო უნდა იყოს. ცქრიალა ღვინო „ჩხავერის“ ჩამოსხმა შამპანურის ბოთლებში მინუს 5°-სა და 2,5 ატმოსფერო წნევის დროს წარმოებს. ჩამოსხმის წინ „ტექნოქიმში“ იფილ-



ტრება. საცობის დაცობა და გაფორმება შამპანურის წარმოების ხდება.

შზა ღვინო „ჩხავერი“ (ცქრიალა) შეიცავს 10—11 % მოც. სპირტს, 3—5 % შაქარს, 2,5 ატმოსფერო წნევას, ღია ჩალის-ფერია, ოდნავ მოვარდისფრო, ხილის ბუკეტით, ჰარმონიული და ხალისიანია, ახასიათებს მსუბუქი თამაში.

„ჩხავერმა“ და „მწვანე ცქრიალამ“ საერთაშორისო გამოფენაზე ქალაქ ლუიბლიანაში (იუგოსლავია) ვერცხლის ჰედლები მიიღეს.

ტექნოლოგიური სქემა, რომელიც ითვალისწინებს ჩეზერ-ვუარული მეთოდით ნახევრად ტკბილი ცქრიალა ღვინის მიღებას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან იგი ღვინის მდგრადობის გარანტიას იძლევა.

მიმღინარეობს მუშაობა განუწყვეტელი დუღილის მეთოდით ნახევრად ტკბილი ცქრიალა ღვინოების მისაღებად, როთაც გადიდება საღულარი განყოფილების წარმადობა, შემცირდება საღულარი განყოფილების ფართობი, ჭურჭლის რაოდენობა და პროდუქციის თვითღირებულება.

შუშხუნა, ანუ დაგაზიანებული ღვინოები ნახშირმჟავა გაზის შემცველი სასმელია, რომლის მისაღებადაც ღვინოს ნახშირმჟავა გაზით ხელოვნურად აჯერებენ. ნახშირმჟავას კავშირი ასეთ ღვინოებში მტკიცე არ არის და არც ცქრილის ხანგრძლივობას უზრუნველყოფს, რაც საგრძნობლად ამცირებს მათ ხარისხსა და გემოს. ამ კატეგორიის ღვინოები საქართველოში მზადდებოდა „აკარას“, „ბალდადის“ და „ჩქეფის“ სახელწოდებით, რომლებმაც მომხმარებელთა მოწონება დაიმსახურეს.

შუშხუნა ღვინოების ნახშირორჟანგით გაჯერება კარგად



მოკალულ ან მოვერცხლილ აპარატებში ხდება. გერმანიური და უკრაინური დაგაზიანებისათვის ფართოდ იყენებენ შიგნიდან მოჭიქულ გრესლერის აპარატს, რომელშიც ღვინოს მთელი ჰაერის გამოდევნამდე ასხამენ, რის შემდეგ მიმღებ ხერელს ხურავენ და ვენტილით უერთებენ ყუმბარას, რომელშიც ნახ-შირმუავა გაზია. გაჭერების წინ ღვინოს 1/5-ს მოაკლე-ბენ. აღსორბირებული ჰაერის მოსაცილებლად ნახშირმუავა გაზის წნევას 1,5 ატმოსფერომდე ადიდებენ. გაჭერების შემ-დეგ აპარატს ყუმბარიდან თიშავენ.

„ციმლიანსკის ცერიალა“

ციმლიანსკის ცერიალა ღვინოები ღიღი მოწონებით სარ-გებლობდა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში. სხვა ცერიალა ღვი-ნოებთან შედარებით ისინი თავისებური არომატითა და კარგი ცერიალით ხასიათდებოდა. „ციმლიანსკის ცერიალას“ ამზა-დებდნენ შავი ციმლიანსკისა და პლეჩისტიკის კუპაჟით (1:1 და 1:2). ყურძნის ეს ჯიშები ერთმანეთს არომატით, შე-ფერვითა და ბუკეტით ავსებენ.

ძველად „ციმლიანსკის ცერიალას“ ამზადებდნენ შემდეგ-ნაირად: გვიან შემოდგომაზე მოკრეფილ ყურძენს 32—34 % შაქრის შემცველობამდე ჩელტებზე აშრობდნენ. ამ ღრიო-სათვის უკვე იწყებოდა ზამთრის ყინვები. შემჭინარ ყურძენს აცლიდნენ კლერტს და ჭილეტლნენ. პირველ ღლებში, ღუ-ლილის დაწყებამდე, ღურდოს ინტენსიურად ურევდნენ, რა-საც ქუდის ზემოთ ამოტივტივების შემდეგ წყვეტდნენ. დუ-ლილი მიმდინარეობდა კონუსურ ჩანებში. ქუდის ამოწე-

ვასთან ერთად იქმნებოდა დურდოს მკვრივი მასა, რითაც დუღილი აერაციის გარეშე მიმდინარეობდა. ყინვები განაპირობებდა დუღილის შეწყვეტას. დაწმენდილი დაუღულარი ღვინო ჩანის ქვემოთ გაკეთებული ონკანით ბოთლებში ჩამოისხმეოდა. ბოთლები იძეჭდებოდა და იდგმებოდა ვერტიკალურ მდგომარეობაში. გაზაფხულზე იწყებოდა მეორადი დუღილი, რის შედეგადაც ბოთლებში მოთავსებული ღვინო ნახშირორჟანგით 2,5—3 ატმოსფერომდე ჭრდებოდა. ასეთი ტექნოლოგიით ღვინის დამზადება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ამიტომ იგი არ გამოიყენება წარმოებაში. ამან განაპირობა ახალი, საწარმოო ტექნოლოგიის შექმნა.

საწარმოო მასშტაბით „ციმლიანსკის ცერიალას“ დამზადებისათვის იყენებენ სამი სახის ღვინომასალას: მშრალი, დაუდუღარი და საღესერტო. ამ ღვინომასალების დასამზადებლად იკრიფება შემდეგი კონდიციის ყურძენი (1-ლი ცხრილი).

1-ლი ცხრილი

ღვინომასალის დასახელება	ყურძნის კონდიციები		
	შაქარი (%-ში)	ტიტრული მჟავდანობა (%-ში)	სიმწიფის მაჩვენებელი (%-ში)
მშრალი ღვინომასალა	20—24	6,5—7,8	30—35
დაუდუღარი	21—25	6,0—7,2	36—98
საღესერტო	23—27	5,5—7,0	39—41




აღნიშნული კონდიციის ყურძნიდან შესაძლებელია უფრო მაღალი დამზადება (ვე-2 ცხრილი).

ვე-2 ცხრილი

ღვინომასალის დასახელება	ღვინომასალის კონდიციები		
	სპირტი (%-მოც)	შაქარი (%-ში)	ტიტორ. მევიანობა (%-ში)
ციმლიანსკის მშრალი ღვინომასალა	0,8—13,0	0,3—0,2	6,2—7,2
ციმლიანსკის დაუღულარი ღვინომასალა (დურდო ისპირტება 5—6 % მოც-მდე).	8,0—10,0	16,0—18,0	5,8—7,0
ციმლიანსკის დესერტული ღვინომასალა (დურდო ისპირტება 5—7 % მოც-მდე, შემდეგ წარმოებს გამოწევხილი ღვინომასალის ორჯერადი დასპირტება 12,5—15 % მოც-მდე).	12,5—15,0	18,0—21,0	5,0—6,8


არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში აუცილებელია ყურძნის შეჭქნობა და ღვინის კუპაჟი წინა წლის კარგი ხარისხის სარეზერვო ღვინომასალებთან.

ციმლიანსკის ცქრიალა ღვინომასალების დასამზადებლად დურდოზე დუღილის ჩატარებაა საჭირო. ამ მიზნით ა. უილინ-სკიმ დურდოზე დაყოვნებით დუღილის ექსტრაქტული მეთოდი შეიმუშავა. მისი სქემატური გამოსახულება მოცემულია 1-ლ. ნახაზზე.



სურ. 10. ღურდოზე დაყოვნებით დუღილის სქემა.

გადასამუშავებლად მიღებულ ყურძენს ტვირთავენ მიღ-
ღებ ბუნკერში (1), საიდანაც შნეკიანი ტრანსპორტორით
(2) საჭყლეტ მანქანას (3) გადაეცემა. აქედან ღურდო გადა-
დის რკინა-ბეტონის მიმღებში (4) და ტუმბოს საშუალებით —
ექსტრაქტორში (10). ექსტრაქტორის დატვირთვის შემდეგ



სურ. 11. დურდოს დადუღების პროცესი.

თანმიმდევრულად ივსება ექსტრაქტორები (9, 8, 7, 6), რომ-
ლებიც აღჭურვილია საღრენაჟო მოწყობილობით, საიდანაც
ტუმბოს (11) საშუალებით თვით ტკბილი განუწყვეტლად გა-
დადის საღულარ რეზერვუარში, სადაც ტკბილის დადუღება
წარმოებს. მიღებული მშრალი ვარდისფერი ღვინომასალა

გამოიყენება ექსტრაქციისათვის. დურდოს დაღულების ვრცელების მოცემულია მე-2 ნახ-ზე.

დურდო გადაეცემა ექსტრაქტორს ქვედა ნაწილიდან 100 მმ დამეტრის მილგაყვანილობით. დურდო მოძრაობს ქვევი-დან ზევით. ახალი ულუფის მიწოდებასთან ერთად ექსტრა-ქტორის ზედა ნაწილიდან სავარცხელას (1) საშუალებით წარმოებს წინა დღით ჩატვირთული დურდოს (ექსტრაქცია-ქმნილი) გადატანა შიდა შენეკურ ტრანსპორტიორზე (2), რო-მელსაც ექსტრაქციაქმნილი დურდო მთავარ შენეკურ ტრანს-პორტიორზე (3) გადააქვს.

ექსტრაქტორი წარმოადგენს ლითონის კორპუსს (6), რო-მელიც აღჭურვილია სათანადო არმატურით. დუღილის სა-სურველი ტემპერატურის დაცვის მიზნით ექსტრაქტორს აქვს მაცივარი ჰერანგი (4), რომელშიც მაცივარაგენტი — მარილ-სსნარი ან ცივი წყალი მოძრაობს. ექსტრაქტორის შიგნით მოთავსებულია საღრენაუო ქუროები (5). ექსტრაქტორში დურდოს დონის კონტროლი საზომი მილით (7) წარმოებს.

ხუთივე ექსტრაქტორიდან (ნახ. 1) ექსტრაქციაქმნილი დურდო მთავარი შენეკური ტრანსპორტიორით (13) უწყვეტი მოქმედების წნებს (14) მიეწოდება, აქედან შენეკური ტრანს-პორტიორით (15) ჭაჭა უტილიზაციის სამქროს გადაეცემა.

მშრალი ოვინით ექსტრაქციის ჩატარებისათვის მილგაყვა-ნილობით (19) ექსტრაქტორებში მიეწოდება მშრალი ოვინო, რომლის რაოდენობაც ექსტრაქტორიდან თავდაპირველად გადატუშებული თვითნადენი ტკბილის რაოდენობის ტოლია.

როგორის დასაჭყისში ექსტრაქტორებში 5 %-ის ოდენო-ბით შეაქვთ საფუვრის წმინდა კულტურის დედო, ამიტომ დუღილი დურდოს ჩატვირთვისთანავე იწყება. მთრიმლავი

და საღებავი ნივთიერებების უკეთ გამოწვლილვის მიზნით ექსტრაქტორებში მოთავსებულ დურდოს ტუმბოთი ზევიდან ქვევით ურევენ. დულილის დროს პერიოდული მორევით ღვინის ჭაჭაზე დაყოვნებისათვის სრულიად საქმარისია 8—10 საათი. ექსტრაქციის პერიოდში დურდოს განუწყვეტილი არევა არ არის სასურველი, რადგანაც ამ დროს ხდება ჭაჭის დაშუცმაცება, რაც ღვინოში მთრიცლავ ნივთიერებებსა და უანგბაღის შემცველობას ზომაზე მეტად ზრდის.

გამოწნევის შედეგად მიღებული ღვინომასალა წარმოადგენს დაუდუღებელ ღვინომასალას, რომელიც 6—10 % შაქარი, 7—9 % მოც. სპირტსა და 5—7 % ტიტრულ მჟავიანობას შეიცავს.

განუწყვეტილი წნევის პირველი ძუძუკიდან მიღებული ღვინომასალა ტუმბოს (16) საშუალებით გადაეცემა ან საბოლოოდ დასადუღებელ პატარეას (21) მშრალი ღვინომასალის მისაღებად, ან მიეწოდება თბომცვლელს, სადაც $1-2^{\circ}$ -მდე ცივდება, რის შემდეგაც გადაიტვირთება ღვინის საცავ რეზერვუარებში, სადაც $5-6^{\circ}$ ტემპერატურაზე ინახება. ექსტრაქტორში მოსახერხებელია დურდოს დასპირტვა. ტუმბოთი (11) ექსტრაქტორის (10) ქვედა ნაწილში საფეხურებად მიეწოდება სუფთა რექტიფიცირებული სპირტი. უკეთ არევისა და სპირტის ასრძილაციის მიზნით ექსტრაქტორებში დურდო ქვევიდან ზევით გადაადგილდება, რაც დურდოს ტუმბოს (20) საშუალებით წარმოებს. ამ ოპერაციას ყველა ექსტრაქტორში თახმიმდევრობით ასრულებენ. დანარჩენი ნაწნევი ღვინომასალა, რომლის კონდიციებია: 6—7 % შაქარი, 7—9 % მოც. სპირტი, 5—6,5 % ტიტრული მჟავიანობა, წითელი პორტვეინის ღვინომასალების მისაღე-

ბად ისპირტება შემდეგ კონდიციებამდე: 4—6 % ჰაქტარი
და 18 % მოც. სპირტი.

საღულარ-დამგროვებელი ბატარეის რეზერვუარებს (22)
და საბოლოოდ დასაღულებელ ბატარეას (21), რომ-
ლებშიც 16 ვერტიკალური რეზერვუარი შედის, აქვს პერა-
ნგი, რაც საჭიროების შემთხვევაში ტემპერატურის რეგუ-
ლირების საშუალებას იძლევა. ორივე ბატარეას აქვს ნახშირ-
ორუანგის მიღვაყვანილობა. 2—3 საათის შემდეგ ქვედა
მიღვაყვანილობიდან ტუბოს (11) საშუალებით ექსტრა-
ქტორში ხელახლა გადაეცემა რექტიფიკატის ახალი ულუფა.
ასეთი ოპერაცია ტარდება 3—4-ჯერ. დასპირტვის პროცესი
ჩვეულებრივ 26-28 საათში მთავრდება.

დასპირტვისა და დურდოზე დაყოვნების დამთავრების;
შემდეგ სადესერტო ღვინომასალა თბომცლელის გავლით
გადაიტანება ღვინის საცავებში. მეორე დღეს ექსტრაქტო-
რში ჩატვირთული დურდო გამოდევნის დასპირტულ დურ-
დოს, რომელიც შენკიანი ტრანსპორტიორით (13) წენების
ბუნკერებში (14) გადაიტანება. პირველი ძუძუკიდან მიღე-
ბული ღვინომასალა ღვინის საცავებში გადაეცემა, ბოლო
უკანასკნელი დაწნევებით მიღებული ღვინომასალა წითელი
პორტვეინის კუპაჟებში გამოიყენება.

სადესერტო ღვინომასალების წარმოების დამთავრების
შემდეგ ექსტრაქტორებში დარჩენილ დურდოს დარჩენილი
შაქრის, სპირტისა და მთრიმლავ ნივთიერებათა საბოლოო
ექსტრაქტია-დიფუზიისათვის საღულარ-შემგროვებელი ბატა-
რეანდან. (21) ვარდისფერი ღვინომასალა ემატება. დას-
პირტულ დურდოს უმატებენ მშრალ ღვინომასალას 1:1
შეფარდებით და დროგამოშვებით დურდოს ტუბოთი (20)

ურევენ. ექსტრაქციის პროცესი 26—30 საათი გრძელდება და მოყენება შეიცავს 13—15 % მოც. სპირტს. 5—7 % შაქარსა და 4—6 % ტიტრულ მჟავისნობას. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც საკუპაჟე, ისე შემაგრებული ღვინოების წარმოებაში. ეს ოპერაცია საშუალებას იძლევა, დასპირტული დურდოდან დამატებით გამოვყოთ სპირტი და შაქარი, რომლებიც ჩვეულებრივი ტექნოლოგიის დროს საუტილიზაციოდ გადაეცემოდა.

„ციმლიანსკის ცქრიალას“ ღვინომასალების ტექნოლოგია მექანიზებულია. მთავარ სამართავ პულტზე დადგმულია ტემპერატურის მრიცხველები, რომლებიც საშუალებას იძლევა ორი ბატარეას რეზერვუარებსა და ხუთ ექსტრაქტორში ტემპერატურული რეჟიმი განისაზღვროს. ყოველ რეზერვუარს აქვს სითხის დონის მრიცხველი. აქვე თავმოყრილია საჭყლეტ განყოფილებაში მომუშავე მექანიზმების გასაშვები ღილაკები, აგრეთვე ტელეფონი და მიკროფონი, რომლითაც შეუფერხებლად მუშაობისათვის საჭირო ბრძანებები გაიცემა.

ზირიმის ჭითალი ცერიალა

ა. გავრიშმა ყირიმის პირობებისათვის შეიმუშავა ცქრიალა წითელი ღვინოების ტექნოლოგია. საამისოდ შეირჩა ყურძნის შემდეგი ჯიშები: მატრასა, ხნდოვნი, კაბერნე-სოვინონი, მაგარაჩის ლალისფერი, აგრეთვე შავი ციმლიანსკი და პლეჩისტიკი.

ექსპერიმენტების შედეგად შეიმუშავეს ციმლიანსკის ტიპის ყირიმის ცქრიალა წითელი ღვინოების დამზადების ტექნოლოგიის ორი სქემა.

პირველი სქემით ცქრიალა ღვინოებისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ დაუდუღარი ღვინომასალების გამოყენება. მას ამზადებენ 25—27 % შაქრიანობის ყურძნიდან, რომელიც ნაწილობრივ დამჭკნარია ვაზზე ან საშრობში 35°-ზე. გამოიყენება დაუმჭკნარი ყურძენიც, რომლის შაქრიანობაც 23 %-ზე მეტია.

ყურძენს საჭყლეტ-კლერტსაცლელში ამუშავებენ, ტებილი სულფიტირდება ისე, რომ ერთი ლიტრი 80—100 მგ SO₂-ს შეიცავდეს. რამდენიმე საათის შემდეგ საფუვრის წმინდა კულტურას (3—4 %) უმატებენ. დუღილი მიმდინარეობს ჭავაზე, პერიოდულად ურევენ. დუღილის პროცესში ტემპერატურა 27°-ს არ უნდა აღემატებოდეს.

როდესაც მაღუღარ ღვინოში 12—15 % შაქარი დარჩება (იმ პირობით, რომ მაღუღარი ღვინო შეიცავს 500—600 მგ/ლ საღებავ და 1,3—1,5 მ/ლ მთრიმლავ ნივთიერებებს), ღვინოს ჭაჭიდან აცილებენ. ოვითნადენი და პირველი ნაწნეხი ცქრიალა ღვინის დასამზადებლად გამოიყენება (1 ტონა ყურძნიდან 50 დალ).

9—12 % შაქრიანობის დროს დაუდუღარ ღვინომასალას მინუს 0—2°-მდე აცივებენ, უკეთებენ სულფიტაციას 100—120 მგ/ლ და 3—4 დღეს აყოვნებენ. შემდეგ ღვინომასალას ლექიდან ხსნიან, ფილტრავენ და სხვა გაცივებულ ჭურჭელში გადააქვთ.

ეგალიზაციის შემდეგ დაუდუღარი ღვინომასალა თერმო-იზოლირებული ავტოცისტერნებით შამპანური ღვინის ჭარხანი იგზავნება, სადაც მას ამუშავებენ სიცივით, 2 დღეს მინუს 5°-ზე აყოვნებენ, ფილტრავენ და ასვენებენ არანაკლებ 20 დღისა, რის შემდეგაც აკუპაჟებენ.

კუპაჟი დაწმენდის მერე გაწებვასთან ერთად მიმღინა-
 რეობს არა უმეტეს 20 დღისა, შემდეგ ღვინომასალის ხსნიან
 წებოდან, ერთ თვეს ასვენებენ, გადააქვთ აკროტოფორებში
 და შამპანიზაციას უქეთებენ. მზა ღვინოს ფილტრავენ და
 ასხამენ 0,8 ლიტრიან ბოთლებში. საკონტროლო საწყობში
 10 დღის შემდეგ წარმოებს მზა ღვინოების გაფორმება და
 რეალიზაცია.

მეორე სქემით ცქრიალა ღვინოების კუპაჟში დაუდუღარი
 ღვინომასალებთან ერთად არა უმეტეს 50 % -ისა შედის
 შემაგრებული და მშრალი ღვინომასალები. მშრალ
 ღვინომასალებს ამზადებენ წითელი სუფრის ღვინოების
 ჩვეულებრივი ტექნოლოგიით, შემაგრებულ ღვინოებს კი
 შემდეგი მეთოდით: ყურძენს კრეფენ 20—23 % შაქრიანო-
 ბის ღროს. ყურძნის გადამუშავება ხდება ისე, როგორც
 დაუდუღარი ღვინომასალებისა. დუღილი წარმოებს, ვიდრე
 ჭაჭაზე 5—6 % შაქარია, შემდეგ დუღდოს წნეხავენ, ამ დაუ-
 დუღარ ღვინომასალებს პერიოდულად 13—15 % მოც. სპი-
 რტის შემცველობამდე სპირტავენ.

შემდგომში ტექნოლოგია 1 სქემის ანალოგიურად მიმ-
 დინარეობს. ამ მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს იმა-
 ში, რომ შაქრის დამატების აუცილებლობა გამორიცხულია.
 ეს მიღწეულია გალალშაქრიანი (დამჭერარი) ყურძნისან
 ნიღებული დაუდუღარი ღვინომასალების გამოყენებით.

ყირიმში დამზადებული ცქრიალა წითელი ღვინო „ციმ-
 ლიანსკის ცქრიალას“ ტიპისაა. 1965 წელს საერთაშორისო
 კონკურსზე ქალაქ თბილისში მან ოქროს მედალი მიიღო.

შ 0 6 1 1 6 8 0

ცქრიალა ღვინოების წარმოების განვითარების ისტორია	3
საქართველოში	
ცქრიალა და შუშხუნა ღვინოების დახასიათება	4
ცქრიალა ღვინოების წარმოების თეორიული საფუძვლები	11
მეორეული დუღილის ახალი გზები	15
ცქრიალა ღვინოების ყურძნის ჯიშები და მათი სამეურნეო-	
ტექნოლოგიური დახასიათება	16
ცქრიალა ღვინომასალის დაყენება	31
ცქრიალა ღვინოების წარმოების მეთოდები	41
„ციმლიანსკის ცქრიალა“	51
კირიმის წითელი ცქრიალა	59

რედაქტორი ა. ნამორაძე
მხატვარი მ. ვარგარიძე
მხატვრული რედაქტორი მ. მესხი
ტექნიკური რედაქტორი ჭ. როველიაშვილი
კორექტორი მ. კავილაძე
გამომუშები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 18.IX.69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.IV.71 წ.
ქალალდის ზომა 70X108^{1/32} პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2,82. სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 2,16
უე 01672 ტირაჟი 500 შეკვ. № 1633.
ფასი 5 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, მარჯანიშვილის 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს.
სტამბა №10 ცხენვალი, მოსკოვის ქუჩა, №5.

Типография № 10, Главполиграфпрома Государственного Комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати, Цхинвали,
Московская, 5.



53/22

36601-

Ираклий Вахтангович Шарашенидзе

Выдержка из гиристых вин

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1971

კარლაგანის ეროვნული ბიბლიოთეკი



K 39.515/2